



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო



Empowered lives.
Resilient nations.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

2019 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study)

დეკემბერი, 2020

თბილისი, საქართველო

კვლევის ანგარიში მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. ანგარიში
გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

სარჩევი

კვლევის შესახებ.....	1
კვლევის მეთოდოლოგია.....	2
კვლევის შედეგები.....	4
1. მონაცემთა ანალიზი დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით.....	4
1.1 კურსდამთავრებულთა გამოპასუხების ზოგადი ანალიზი.....	4
1.2 მონაცემები კურსდამთავრებულთა სქესისა და ასაკის შესახებ.....	4
1.3 მონაცემები კურსდამთავრებულთა სტატუსის და წინმსწრები განათლების შესახებ	5
1.4 მონაცემები რეგიონის, საგანმანათლებლო მიმართულებებისა და დარგების შესახებ	7
2. პროფესიული იდენტიფიკაცია.....	11
2.1 პროფესიული სპეციალობისადმი მიკუთვნებულობა და დამოკიდებულება	11
3. დასაქმება და შემდგომი პროფესიული განვითარება	18
3.1 კურსდამთავრებულთა ამჟამინდელი საქმიანობა.....	18
3.2 დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი სქესისა და ასაკის მიხედვით.....	19
3.3 დასაქმების ზოგადი მახასიათებლები	21
3.4 დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი რეგიონისა და დარგების მიხედვით	25
3.5 დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი პროგრამის ტიპის მიხედვით	29
3.6 თვითდასაქმებული კურსდამთავრებულები	30
3.7 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე კურსდამთავრებულების დასაქმება და დამოკიდებულებები პროფესიული განათლებისადმი.....	32
3.8 დაუსაქმებელი კურსდამთავრებულები.....	33
3.9 სტაჟირება/შეგირდობა	35
3.10 კურსდამთავრებულები, რომელთაც სწავლა გააგრძელეს უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე ან სწავლობენ რომელიმე პროფესიულ პროგრამაზე	35
4. სამუშაოს ძებნის პარამეტრები - ძიების მეთოდები, თვითშეფასება, მხარდაჭერა და ამ პროცესთან დაკავშირებული სირთულეები	36
5. კომპეტენცია და სამუშაო კმაყოფილება	40
6. პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული ასპექტები რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას	47
დასკვნები და რეკომენდაციები	53
დანართები.....	57
დანართი #1. შერჩევის განაწილება კურსდამთავრებულთა საერთო განაწილებასთან მიმართებაში რეგიონების მიხედვით	57
დანართი#2. შერჩევის განაწილება მიმართულებების მიხედვით.....	57

დანართი #3. შერჩევის განაწილება სქესის მიხედვით	58
დანართი #4. შერჩევის განაწილება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით	58
დანართი #5. Covid-19-ის გავლენა დასაქმებაზე (რეგრესიული მოდელი).....	58
დანართი #6. სამუშაო დროის აღწერითი სტატისტიკა	59
დანართი #8: დასაქმებისა და უმუშევრობის განაწილება რეგიონის მიხედვით.....	60
დანართი #9. დასაქმებისა და უმუშევრობის განაწილება რეგიონებისა და მიმართულებების მიხედვით	60
დანართი #10. პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვის წესი.....	65
დანართი #11. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება დარგების მიხედვით.....	66
დანართი #12. სწავლის მეთოდების გაუმჯობესების საჭიროება დარგების მიხედვით	67
დანართი #13. სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება დარგების მიხედვით	68
დანართი #14. პროფესიული მასწავლებლის კომპეტენციის გაუმჯობესება დარგების მიხედვით	69
დანართი #15: პრაქტიკული კურსების გაუმჯობესების საჭიროება დარგების მიხედვით	70
დანართი #16. პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის წესის გაუმჯობესება დარგების მიხედვით	71
დანართი #17. სწავლის შეფასების მეთოდების გაუმჯობესება დარგების მიხედვით	72

კვლევის შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ინიციატივით 2014 წლიდან რეგულარულად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. Tracer Study), რომელიც წარმოადგენს იმ სისტემური ცვლილებების შეფასების ინსტრუმენტს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში სწავლის დასრულების შემდეგ. კურსდამთავრებულთა კვლევა ყოველ წელს ტარდება და შეისწავლის იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გამოკითხვის პერიოდისთვის პროფესიული პროგრამა ერთი წლის დასრულებული აქვთ.

კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ განვითარდა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა). შეგროვებული მონაცემები მოიცავს როგორც კურსდამთავრებულთა შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე მათ აღქმებს, დამოკიდებულებებსა და შეფასებებს საკუთარ პროფესიულ გადაწყვეტილებებსა და მასთან დაკავშირებულ პროცესებზე.

კვლევის მიზანი და ამოცანები

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (ე.წ. Tracer Study) მიზანია პროფესიულ პროგრამებზე სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა. კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნება ისეთი საკითხები როგორცაა:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე კურსდამთავრებულთა განათლების დონე და სამუშაო გამოცდილება;
- კურსდამთავრებულთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლებლით კმაყოფილება;
- კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება;
- კურსდამთავრებულთა, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება, სწავლის გაგრძელება და სწავლის შემდგომ სხვა საქმიანობა) დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება;
- დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაო პირობებით კმაყოფილება;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას; დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
- კურსდამთავრებულთა სამომავლო საგანმანათლებლო გეგმები.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა შეისწავლის იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გამოკითხვის პერიოდისთვის პროფესიული პროგრამა ერთი წლის დასრულებული აქვთ. შესაბამისად, 2020 წელს ჩატარებული კვლევის სამიზნე ჯგუფი 2019 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულები არიან. კვლევის პოპულაციას წარმოადგენს ყველა პროფესიული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულების 2019 წლის კურსდამთავრებულები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში (4496 კურსდამთავრებული).

კვლევის მეთოდი: კომპიუტერზე დაფუძნებული სატელეფონო ინტერვიუ (ხანგრძლივობა - საშუალოდ 10-15 წუთი).

კვლევის ინსტრუმენტი: კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. კითხვარი შედგება 10 თემატური ბლოკისგან. თითოეული ბლოკი განკუთვნილია გარკვეული ტიპის ინფორმაციის მისაღებად: 1. **A ბლოკი:** კურსდამთავრებულთა ბაზაში არსებული მონაცემები (1-11 კითხვა); 2. **B ბლოკი:** შესავალი (1-2 კითხვა) და დემოგრაფიული კითხვები (3-5 კითხვა); 3. **C ბლოკი** ზოგადი კითხვები (6-19 კითხვა); 4. **D ბლოკი:** პირები, რომლებიც სწავლობენ უმაღლესი განათლების რომელიმე საფეხურზე (20-21 კითხვა); 5. **E ბლოკი:** პირები, რომლებიც სწავლობენ პროფესიულ სასწავლებლებში ან უსდ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (22-25 კითხვა); 6. **F ბლოკი:** პირები, რომლებიც ამჟამად მუშაობენ (26-38 კითხვა); 7. **G ბლოკი:** თვითდასაქმებულები (39-48 კითხვა); 8. **H ბლოკი:** პირები, რომლებიც ამჟამად არიან სტაჟიორები/შეგირდები (49-53 კითხვა); 9. **I ბლოკი:** დაუსაქმებელი პირები (54-56 კითხვა) და 10. **J ბლოკი:** სამომავლო გეგმების/პროფესიული პროგრამების ასპექტების შეფასება (57-61 კითხვა).

შერჩევის დიზაინი: კვლევა ეყრდნობა სტრატეგიული მარტივი შემთხვევითი შერჩევის მოდელს. სტრატეგიკაციის ცვლადებს წარმოადგენს შემდეგი სიდიდეები: რეგიონი, საგანმანათლებლო დარგი, სქესი და ასაკი (იხ. დანართები #1, 2, 3, 4). შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული 2019 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა ბაზა, სადაც ფიქსირდებოდა 4496 კურსდამთავრებული. შერჩევის ზომა განისაზღვრა 1201 რესპონდენტით, რაც უზრუნველყოფს 2.8% - იან მაქსიმალურ ცდომილებას 95% - იანი სანდოობით.

შერჩევის განხორციელების ეტაპები:

1. შერჩევის პირველ ეტაპზე სტრატეგიკაციის ცვლადებიდან შეიქმნა ერთიანი სტრატები;
2. შერჩევის მეორე ეტაპზე გამოსაკითხი რესპონდენტების რაოდენობა 1201 - პროპორციულად გადანაწილდა სტრატების მიხედვით;
3. გადანაწილებისას ყურადღება მიექცა დარგებს. დარგებში გამოსაკითხი სტუდენტების მინიმალურ რაოდენობად განისაზღვრა 30 კურსდამთავრებული. იმ დარგების შემთხვევაში, რომლებზეც კურსდამთავრებულთა რაოდენობა 30-ზე ნაკლები იყო შეირჩა ყველა კურსდამთავრებული.

კვლევის ადმინისტრირება: კვლევის საწყის ეტაპზე გადაიხედა და რედაქტირდა კურსდამთავრებულთა კვლევის არსებული ინსტრუმენტი საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, კერძოდ, კიდევ ერთხელ შესწავლილ იქნა ევროპის განათლების ფონდის (ETF) კურსდამთავრებულთა კვლევის განხორციელების მიზნით შემუშავებული გზამკვლევი და, ასევე, გაანალიზებულ იქნა კურსდამთავრებულთა კვლევის ესტონური მოდელი. საერთაშორისო გამოცდილების გაცნობის შემდეგ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის წინა წლებში გამოყენებული ინსტრუმენტი გადამუშავდა და დაემატა რამდენიმე შეკითხვა. კითხვარი ასევე რედაქტირდა ახალი კორონა ვირუსის (Covid-19) პანდემიით გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინების მიზნით. ჩატარდა კითხვარის კოგნიტური პილოტირება და საბოლოო კითხვარის შესაბამისად ინტერვიუებისთვის შემუშავდა გზამკვლევი.

საველე სამუშაოების დაწყებამდე განხორციელდა ტრენინგი ინტერვიუებისთვის, რომლის ფარგლებშიც დეტალურად მიეწოდათ ინფორმაცია კვლევის მიზნების და ამოცანების, შევსების ინსტრუქციის და ე.წ. სენსიტიური კითხვების შესახებ. აღსანიშნავია, რომ კითხვარი ინტეგრირდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სწორედ აღნიშნულ ბაზაში მოხდა გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების ასახვა. საველე სამუშაოები განხორციელდა 5 ინტერვიუების მიერ 2020 წლის დეკემბერში.

კვლევის შედეგები

1. მონაცემთა ანალიზი დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით


1.1 კურსდამთავრებულთა გამოპასუხების ზოგადი ანალიზი

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების საწყისი სამიზნე რაოდენობა განხორციელებული შერჩევის მიხედვით იყო 1201, სამიზნე რაოდენობის გამოკითხვის მიზნით სულ განხორციელდა 2160 კონტაქტი. რესპონდენტთა ჩართულობისა და გამოპასუხების მაჩვენებელი - 56%-ია, რაც მაღალი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ არსებული პანდემიური მდგომარეობისა და სტრესული სიტუაციის გამო, გართულებული იყო სავლე სამუშაოები. თუ თვალს გადავავლებთ სხვა ქვეყნებში განხორციელებული იგივე ან მსგავსი კვლევის გამოპასუხების მაჩვენებლებს (მაგ., ევროპული ქვეყნები 40% - 60 % შუალედი, ¹) ვნახავთ, რომ ეს მაჩვენებელი მოცემულ კვლევაში მაღალია.

1.2 მონაცემები კურსდამთავრებულთა სქესისა და ასაკის შესახებ

სქესი: 2019 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1201-მა პირმა. გამოკითხულთა შორის 54% (649) იყო მამრობითი სქესის რესპონდენტი, ხოლო 46% (552) - მდედრობითი (იხ. დიაგრამა #1).


დიაგრამა #1. რესპონდენტების პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით (N=1201)



¹ https://www.cedefop.europa.eu/files/2218_en.pdf

ასაკი: კვლევის შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმს კურსდამთავრებულთა ასაკი წამოადგენდა. შესაბამისად, კვლევაში პროპორციულად მოხვდნენ და გამოიკითხნენ 16-დან 75 წლამდე ასაკის პირები. ქვემოთ მოცემულ დიაგრამა #2-ზე წარმოდგენილია რესპონდენტთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. როგორც მონაცემებიდან იკვეთება კურსდამთავრებულთა ძირითადი ნაწილი 59.9% 16-29 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. უფრო დეტალურად თუ შევხედავთ ვნახავთ, რომ 16 -24 წლის ასაკობრივი ჯგუფი წარმოადგენს კურსდამთავრებულთა 42.0 %-ს, 25-29 ასაკობრივი ჯგუფი - 17.9%-ს, ხოლო 30 წელს ზემოთ მყოფი რესპონდენტები 40.1%-ს (იხ. დიაგრამა #2).

დიაგრამა #2. კურსდამთავრებულთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (N=1201)




თუ ჩვენ კურსდამთავრებულთა ასაკობრივ ჭრილს შევხედავთ პროფესიული ციკლის თვალსაზრისით, აღნიშნული სურათი მკაფიოდ უსვამს ხაზს იმას, რომ პროფესიული განათლება საკმაოდ მიზნიდველია არა მხოლოდ პროფესიული იდენტობის შექმნისა და პროფესიული იდენტიფიკაციის, არამედ შემდგომ ეტაპებზეც, როგორცაა საზოგადოებრივი მოტივაციით ფუნქციონირება, საკუთარი პროდუქტულობის განსჯა (ჰეივინგჰარტი, 1960) და ა.შ.

1.3 მონაცემები კურსდამთავრებულთა სტატუსის და წინმსწრები განათლების შესახებ


სტატუსი: კვლევაში მონაწილეების უმრავლესობას 84.4%(1014) არ აქვს რაიმე ტიპის სპეციალური სტატუსი. იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონეა გამოიკითხულთა 4.6% (55), სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მქონე - 7.9 %(95), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე - 3.1%(37) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შშმ პირის გარდა) – 1.7% (20) (იხ. დიაგრამა #3).

დიაგრამა #3. რესპონდენტთა პროცენტული განაწილება სტატუსის მიხედვით (N=1201)



წინმსწრები განათლება: პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების მომენტისთვის საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული კურსდამთავრებულთა 40,3%-ს, უმაღლესი განათლება - 37,3%-ს, პროფესიული განათლების მქონე იყო - 9,7 %, საბაზო განათლება ჰქონდა მიღებული 12,7 %-ს (იხ. დიაგრამა #4).


დიაგრამა #4. კურსდამთავრებულების პროცენტული განაწილება წინმსწრები განათლების მიხედვით (N=1201)



1.4 მონაცემები რეგიონის, საგანმანათლებლო მიმართულებებისა და დარგების შესახებ

რეგიონი: პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა წილი რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. დიაგრამა #5 გვიჩვენებს, რომ კურსდამთავრებულთა დაახლოებით ერთი მესამედი პროფესიულ კვალიფიკაციას დაუფლა თბილისში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო, კურსდამთავრებულთა 22.9%-ს კვალიფიკაცია მიენიჭათ აჭარის რეგიონში, ასევე, შედარებით დიდია იმ კურსდამთავრებულთა წილი, რომელთაც პროფესიული პროგრამებზე ისწავლეს იმერეთის, კახეთის და სამეგრელო ზემოსვანეთის რეგიონებში. აღნიშნულ რეგიონებზე ჯამურად დაახლოებით კურსდამთავრებულთა 30% ნაწილდება (იხ. დიაგრამა #5).


დიაგრამა #5: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება რეგიონის მიხედვით (N=1201)



საგანმანათლებლო მიმართულებები: რესპონდენტთა შორის მაღალი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი ინჟინერიისა და აგრარული მეცნიერებების მიმართულებების კურსდამთავრებულები. გაცილებით ნაკლებია განათლებისა და სოციალური მეცნიერებების პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი. თუ შევადარებთ ამ მაჩვენებელს წინა წლების მაჩვენებლებს, მაშინ მკაფიოდ ვნახავთ, რომ შეინიშნება კურსდამთავრებულთა წილის მნიშვნელოვანი ზრდა ისეთ მიმართულებებზე, როგორცაა ინჟინერია და აგრარული მეცნიერებანი. 2018 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის მონაცემების მიხედვით წამყავნი დარგები იყო სწორედ ეს ორი დარგი, თუმცა ასევე მაღალი ხვედრითი წილი ჰქონდა ისეთ დარგებს, როგორცაა ხელოვნება, განათლება, სოციალური მეცნიერებები, ჯანდაცვა და ა.შ., რომლებიც გაცილებით მცირე პროცენტული მაჩვენებლითაა წარმოდგენილი 2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის მონაცემებში (იხ. დიაგრამა #6). აღნიშნული შესაძლოა მიუთითებს იმაზე, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინჟინერიისა და


აგრარული მეცნიერებების მიმართულებებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა. შესაბამისად, გაიზარდა აღნიშნული მიმართულებების კურსდამთავრებულთა წილი მთლიან რაოდენობაში.

დიაგრამა #6. მიმართულებებზე კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება 2019 და 2018 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის მონაცემების მიხედვით



რაც შეეხება დარგების მიხედვით რესპონდენტთა რაოდენობის განაწილებას, სურათი შემდეგნაირად გამოიყურება. წამყვანი პოზიციები აქვს ისეთ დარგებს, როგორცაა: სასურსათო ტექნოლოგიები 12,4% (149), დიზაინი 11,2% (134), ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია 9% (108), კომპიუტინგი / ინფორმატიკა 8,7% (105). ყველაზე სუსტად წარმოდგენილია ისეთი დარგები, როგორცაა მედიცინა, სამუსიკო ხელოვნება, ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები, არქიტექტურა, ვეტერინარია, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, სამდივნო და საოფისე საქმე (იხ. დიაგრამა #7).

დიაგრამა #7: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება დარგების მიხედვით (N =1201)



გამოკითხულთა განაწილება სქესის, ასაკის და მიმართულებების მიხედვით გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიაში უფრო მეტად მაღალი ხვედრითი წილი აქვს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ინჟინერია, აგრარული მეცნიერებები, ბიზნეს ადმინისტრირება, მიმართულებათაშორის დარგები, ხოლო ყველაზე ნაკლებად წარმოგენილი მიმართულება კი არის განათლებისა და სოციალური მეცნიერებები (იხ ცხრილი #1).

ცხრილი #1: კურსდამთავრებულთა რაოდენობრივი განაწილება მიმართულებების, ასაკის და სქესის მიხედვით

მიმართულებები	ასაკი						სქესი	
	15-24	25-29	30-34	35-39	40-49	50+	მდედრობითი	მამრობითი
აგრარული მეცნიერებანი	76	55	26	23	32	29	120	120
ბიზნესის ადმინისტრირება	67	26	22	2	5	6	88	40
განათლება	3	6	5	8	10	3	35	0
ინჟინერია	212	70	60	44	58	21	59	405
მიმართულებათაშორისი დარგები სპეციალობები ან	61	26	7	5	7	6	46	67
სოციალური მეცნიერებები	0	2	2	4	2	0	10	0
ხელოვნება	55	19	26	18	18	8	131	12
ჯანდაცვა	30	11	8	6	6	5	63	3
სულ	504	215	156	110	138	78	552	647

რაც შეეხება იმას, თუ რა წინაპირობა ჰქონდათ რესპონდენტებს პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარების მომენტისთვის, ანუ მუშაობდნენ, საწავლობდნენ თუ სხვა, შედეგებმა ცხადყო, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი მუშაობდა (39,5%), სწავლობდა (27,2%), ხოლო დაახლოებით მესამედი იყო უმუშევარი (28,3%). მცირე ნაწილი კი თვითდასაქმებული იყო (9, 1%) (იხ. ცხრილი #2).

ცხრილი #2: კურსდამთავრებულთა საქმიანობა პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებამდე

საქმიანობა	სიხშირე	პროცენტული მაჩვენებელი
მუშაობდა	474	39.5
თვითდასაქმებული იყო	110	9.1
უმუშევარი იყო	339	28.3
სწავლობდა	327	27.2

შეჯამება

როგორც რესპონდენტების ზოგადი პროფილის ანალიზი გვიჩვენებს, 2019 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა შორის სქესის მიხედვით, თითქმის თანაბარი პროპორციით არის წარმოდგენილი როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის რესპონდენტები. მრავალფეროვანია კურსდამთავრებულთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, გამოკითხულებს შორის არიან, როგორც 16 წლის ასაკზე 70 წელზე უფროსი კურსდამთავრებულები, თუმცა, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა 16-29 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. საინტერესოა მონაცემები კურსდამთავრებულთა განათლების დონის შესახებ. გამოკითხულთა შორის არიან როგორც საბაზო და საშუალო განათლების მქონე პირები, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებიც, თუმცა, გამოკვეთილად ჩანს რომ პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა თითქმის 40%-ს უმაღლესი განათლება აქვს. მონაცემების ამგვარი განაწილება კი მიუთითებს იმაზე, რომ პროფესიული განათლება ერთნაირად მიმზღველია ნებისმიერი ასაკის და განათლების დონის როგორც ქალების, ასევე კაცებისთვის.

კურსდამთავრებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით გვიჩვენებს რომ პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია ყველა რეგიონში, თუმცა, რეგიონების მიხედვით კურსდამთავრებულთა განაწილება მნიშვნელოვნად განსხვავდება. კურსდამთავრებულთა 50%-ზე მეტი წარმოდგენილია თბილისსა და აჭარის რეგიონში, რაც განპირობებულია ორი ფაქტორით - აღნიშნულ რეგიონებში წარმოდგენილია ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი და, ასევე, აღნიშნულ რეგიონებში წარმოდგენილია ერთზე მეტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

2. პროფესიული იდენტიფიკაცია

პროფესიული ციკლის თანახმად, რომელიც ხაზს უსვამს ინდივიდის მიერ გავლილ პროფესიულ გზას მისი ფართო ინტერესებიდან სრულფასოვან პროფესიონალად ჩამოყალიბებამდე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი ეს არის პროფესიული იდენტიფიკაციის ეტაპი. კონკრეტული პროფესიული იდენტობის შექმნის ეს ეტაპი მოიცავს ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღებას, გარკვეული შრომით გამოცდილების შექმნას, საკუთარი კარიერული გზის დაგეგმვას. პროფესიული იდენტიფიკაციის უმთავრესი მარკერებია: პროფესიისადმი მიკუთვნებულობა, მისადმი დადებითი დამოკიდებულება, სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობა, მოხალისეობრივი შრომა და გამოცდილების მიღების ალტერნატიული გზების ძიება.

2.1 პროფესიული სპეციალობისადმი მიკუთვნებულობა და დამოკიდებულება


ზოგადად, პროფესიაში შესვლა თავისი არსით მოიცავს პირველ რიგში სპეციალობისადმი მიკუთვნებულობასა და მისადმი დამოკიდებულებას. სწორედ ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი და

ამავდროულად ეტაპი განსაზღვარვს, რამდენად დარჩება ინდივიდი პროფესიაში და რამდენად შეძლებს რეალიზებას.

რა არის ის მიზეზები, რომლებიც საფუძვლად უდევს პროფესიული განათლების პროგრამების არჩევას? როგორია მათი დატვირთვა საგანმანათლებლო პროგრამების მიმართებით? ეს არის ის საკითხები, რომელთაც მნიშვნელოვანი პრევენციული ღირებულება აქვს პროფესიული განათლების განვითარებისთვის.


როგორც მონაცემებიდან ირკვევა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის და კონკრეტული პროგრამის არჩევის ძირითადი საფუძველი არის უფრო მეტად შინაგანი ფაქტორები და ხარისხიანი სწავლების შესაძლებლობა. კერძოდ, ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი ჰქონდა ისეთ ცვლადებს, როგორიცაა საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა (M=4,66), პროფესიული ცოდნის გაღრმავება (M=4,41) და პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობა (M=4,38), პროფესიული პროგრამის/სასწავლებლის მაღალი ხარისხი (M=4,02) და დასაქმების რეალური შესაძლებლობა (M=4,24). ხოლო, ისეთი ცვლადები, როგორიცაა პროფესიულ პროგრამაზე სწავლისა (M=2.7) და ჩაბარების (M=2.78) სიმარტივე, საგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებელ სახლთან სიახლოვე (M=2.8) ან პროგრამაზე სწავლის საფასურის არ არსებობა (M=3.6) ნაკლებად მნიშვნელოვანი მოტივია პროგრამის არჩევისთვის (იხ. დიაგრამა # 8).

დიაგრამა #8: ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროფესიის არჩევაზე (5 ქულიანი სკალა) N=1201




თუ ჩვენ შევადარებთ 2018 და 2017 წლების კურსდამთავრებულთა კვლევის მაჩვენებლებს, ვნახავთ, რომ ამ მიზეზების დინამიკა და მათი მნიშვნელოვნების შეფასება რესპონდენტების მხრიდან მსგავსია, თუმცა სტატისტიკურად სანდო განსხვავება შეინიშნება ისეთი ცვლადების დონეზე, როგორცაა ახლობლების რჩევა და პროფესიულ პროგრამაზე სწავლის სიმარტივე. თუ წინა წლებში მეტ-ნაკლებად მნიშვნელობა ენიჭებოდა ამ ცვლადებს, 2019 წლის კურსდამთავრებულებთან მათი ღირებულება პროფესიული პროგრამის არჩევისთვის უკვე ნაკლებია (იხ. დიაგრამა #9).

დიაგრამა #9: ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროფესიის არჩევაზე წლების მიხედვით




რაც შეეხება სწავლა-სწავლების პერიოდს, კურსდამთავრებულების აბსოლუტურმა უმრავლესობამ 95,3% (1144) კითხვაზე „გიფიქრიათ თუ არა სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე?“ უპასუხა, რომ არა. ხოლო ის ნაწილი, რომელმაც დადებითად უპასუხა ამ შეკითხვას 4,7% (47) ძირითად მიზეზებად ასახელებს შემდეგ ცვლადებს: სხვა პროფესიით დაინტერესება, მუშაობის დაწყება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა (მაგ. მცირეწლოვანი ბავშვის ყოლა, დაოჯახება და სხვ.), საგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებელ სახლიდან სიშორე და სხვა (იხ. დიაგრამა #10).

დიაგრამა #10: მიზეზები რის გამოც კურსდამთავრებულები ფიქრობდნენ სწავლის მიტოვებას (N=57)



თუ შევადარებთ აღნიშნული ცვლადის დინამიკას წინა წლებთან შედარებით, ვანახავთ, რომ ეს მაჩვენებელი 2019 წლის კურსდამთავრებულებში გაცილებით დაბალია და ზოგადად შეინიშნება ამ მაჩვენებლის კლება (იხ. დიაგრამა #11)

დიაგრამა #11: გიფიქრიათ თუ არა სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე? (%)



რესპონდენტების გადაწყვეტილების მდგრადობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა გამოცდილების საფუძველზე. კითხვაზე „ახლა რომ აბარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას?“ გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა უპასუხა, რომ პროფესიას არ შეიცვლიდა (93.8% (1127)), ეს მონაცემი პროფესიული იდენტიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკერია. ანუ, კურსდამთავრებულთა უმრავლესობა საკუთარ პროფესიასთან იდენტიფიცირებულია. ხოლო ის ნაწილი, რომელიც უკვე არსებული გამოცდილების და გაკეთებული არჩევანის ფონზე თვლის, რომ იგივე პროფესიას, ალბათ, არ აირჩევდა, ასახელებს შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტორებს მიზეზებად: პროფესიის დაბალანაზღაურებადობა, სწავლებისა და პრაქტიკის დაბალი დონე, დასაქმების პრობლემები, სწავლების ხანგრძლივობა, მისი დროში განაწილების პრობლემა და სხვა.


პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებას ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს პროფესიისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და სტუდენტის პროფესიასთან მიკუთვნებულობაში.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი პროფესიულ სასწავლებლებსა და სწავლის პორცესს აფასებს დადებითად. კითხვაზე აირჩევდნენ თუ არა იგივე პროფესიულ სასწავლებელს, ახლა რომ აბარებდნენ – 95.6% პასუხობს, რომ აირჩევდა, მხოლოდ, 4% თვლის, რომ იგივე სასწავლებელს არ აირჩევდა და ამის მიზეზებად ასახელებს შემდეგ ფაქტორებს:

- სწავლის დაბალი დონე
- პრაქტიკული კომპონენტის დაბალი დონე
- სასწავლო რესურსების არ არსებობა
- მასწავლებლების არაკვალიფიციურობა
- არაადაპტირებული გარემო
- სხვა - სასწავლებლის მხრიდან საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება; "სიანლებისგან დაშორებულობა"; ტერიტორიული სიშორე.

არჩეული პროფესიისადმი დამოკიდებულება ასევე იკვეთება კურსდამთავრებულის მიერ საკუთარი აკადემიური მოსწრების შეფასებისას. რესპონდენტების დიდი ნაწილი საკუთარ აკადემიურ მოსწრებას სასწავლებელში სწავლის პერიოდში საკმაოდ წარმატებულად აფასებს. 5 ქულიან სკალზე, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან ცუდს, ხოლო 5 - ძალიან კარგს, შედეგები შემდგნაირად განაწილდა. გამოკითხულთა 77.7% (934) საკუთარ აკადემიურ მოსწრებას აფასებს, როგორც ძალიან კარგი - 37.3% (448) ან კარგი 40.4% (486), 16.7% (201) კი დამაკმაყოფილებლად, ხოლო 2.6 პროცენტი (31) აკადემიურ მოსწრებას აფასებს, როგორც ცუდი (იხ. დიაგრამა #12).

დიაგრამა #12: რესპონდენტთა მიერ საკუთარი აკადემიური მოსწრების შეფასების მაჩვენებელი (%) N= 1201



ერთი შეხედვით არსებული მონაცემები მკაფიოდ აჩვენებს, რომ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში საკმაოდ მაღალია. რაც პროფესიისადმი დადებითი დამოკიდებულების მნიშვნელოვან მარკერად შეიძლება მივიჩნიოთ.

პროფესიული იდენტიფიკაციის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანი ცვლადია, რამდენად ზრუნავს ინდივიდი პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ განვითარებაზე, გადის თუ არა ტრენინგებს, ან მონაწილეობს სხვა ტიპის დახელოვნების პროცესში. როგორც კვლევის მონაცემებიდან ირკვევა მხოლოდ 9.2%-მა (11) რესპონდენტმა გაიარა ტრენინგი პროფესიული განათლების (სპეციალობის) მიმართულებით. გამოკითხულთა 4.4 %-მა (53) პროფესიული პროგრამის დასრულების შემდგომ სწავლა განაგრძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო დაახლოებით 3%-მა (33) - პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

შეჯამება

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით რომ შევაჯამოთ პროფესიული იდენტიფიკაციის საკითხი 2019 წლის კურსდამთავრებულებთან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურსდამთავრებულები მაღალ იდენტობას აჩვენებენ არჩეულ პროფესიასთან, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ არ აქვთ სურვილი და არ გეგმავენ, რომ შეიცვალონ პროფესია, სწავლის პროცესში გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრებით, ძირითადად მოსწონდათ ის სასწავლებლები და პროგრამები, რომლებთანაც აფილირებულნი არიან. ნაწილი აგრძელებს პროფესიულ განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის დასრულებიდან არც თუ ისე დიდი დრო გავიდა.


3. დასაქმება და შემდგომი პროფესიული განვითარება

3.1 კურსდამთავრებულთა ამჟამინდელი საქმიანობა

განხორციელდა რესპონდენტების ამჟამინდელი საქმიანობის მაჩვენებლების ანალიზი. გამოიკვეთა რესპონდენტების საქმიანობის ტიპი (სწავლა, მუშაობა, თვითდასაქმება, სტაჟირება და უმუშევრობა) და მისი კავშირი პროფესიული პროგრამით მიღებულ კომპეტენციებთან.

როგორც დიაგრამა #13-დან იკვეთება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა 49% შრომით საქმიანობაშია ჩართული: რეპოდენტების დაახლოებით 40% (465) დაქირავებით დასაქმებულია, 10% (120) - კი თვითდასაქმებული. გამოკითხულთაგან 45% (541) კი დაუსაქმებელია. 4.4% (53) სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო დაახლოებით 3% (33) - პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დიაგრამა #13: რესპონდენტების მიმდინარე საქმიანობა (N=1201)



თუ შევადარებთ დიაგრამაზე წარმოდგენილ მონაცემებს წინა წლის მაჩვენებელს, შეინიშნება კლება, როგორც დაქირავებით დასაქმების, ასევე თვითდასაქმების მაჩვენებლებში, გაზრდილია უმუშევარი რესპონდენტების ხვედრითი წილი.

ეს არის ის მონაცემი, რაც გვაჩვენებს არსებულ რეალობას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დასაქმებაზე გავლენის ერთ-ერთი ძლიერი და საყურადღებო ცვლადი არის კორონა ვირუსით (Covid-19) გამოწვეული პანდემიური მდგომარეობა, რამაც განაპირობა კერძო სექტორის მუშაობის დროებითი პარალიზება, სამუშაო ადგილების შემცირება და კიდევ არაერთი მოვლენა, რომელიც დასაქმებას უკავშირდება, მაშინ აუცილებელია დასაქმების ანალიზისას გათვალისწინებული იყოს ეს მოცემულობა.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ანალიზის ფარგლებში შეიქმნა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი, რომელიც ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოყენებულ განმარტებას, კერძოდ, დასაქმებულად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობისა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსების მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათით მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით.

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ მთლიანი სურათის მიღების მიზნით, შეიქმნა დასაქმების კომბინირებული ცვლადი, რომელიც აერთიანებს დაქირავებით დასაქმებულ, თვითდასაქმებულ და სტაჟიორ/შეგირდ (ანაზღაურებადი სტაჟირება) კურსდამთავრებულებს. მიღებული ცვლადის მიხედვით 2019 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი 49%-ია, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა წლის მათვეს (62%). დასაქმების მაჩვენებლის კლების მიზეზის ძიებისას რა თქმა უნდა გაანალიზებული იქნა პანდემიის გავლენა.

თუ გავაკეთებთ დასაქმების ინდექსს, სადაც გათვალისწინებული იქნება იმ ადამიანების რაოდენობაც, რომელთაც კვლევაში მიუთითეს, რომ დაკარგეს ან არც უძებნიათ სამუშაო 2020 წელს შექმნილი პანდემიური სიტუაციის გამო, მაშინ დასაქმების სავარაუდო მაჩვენებლები იქნება 61%. რაც დაახლოებით 2018 წლის კურსდამთავრებულთა კვლევით (კვლევა განხორციელდა 2019 წელს) მიღებული მაჩვენებლის ტოლია (62%).

ასევე პანდემიური მდგომარეობის გავლენის შეფასების მიზნით გაკეთდა რეგრესიული ანალიზი, რათა შეგვესწავლა, იყო თუ არა პანდემიური სიტუაცია დასაქმების შედეგებზე მოქმედი ცვლადი.

რეგრესიული მოდელი განხორციელდა 2017, 2018 და 2019 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების საფუძველზე. კერძოდ, რეგრესიული მოდელი შემუშავებული იყო პანდემიური გარემოების დასაქმებაზე ზეგავლენის შემოწმების მიზნით. სტატისტიკური მაჩვენებლები ($\beta = .107$, $t(2541) = 5.42$, $p < .000$) ცხადყოფს, რომ პანდემიას მცირე, მაგრამ სტატისტიკურად სანდო გავლენა აქვს დასაქმების მაჩვენებელზე. ეს გავლენა ხსნის მონაცემთა გაბნევის მხოლოდ 1,1 პროცენტს ($R^2 = .10$, $F(1, 2541) = 29,38$, $p < .000$), რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმების მაჩვენებლის კლება, რომელიც კვლევამ აჩვენა მცირე ხვედრითი წილით, თუმცა სანდო დონეზე განპირობებულია არა პროფესიული განათლების რაიმე ფაქტორით, არამედ პანდემიური სიტუაციით (იხ. დანართი #5).


3.2 დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი სქესისა და ასაკის მიხედვით

დასაქმების ეფექტიანობისა და ტენდენციების შესწავლის მიზნით მნიშვნელოვანია დიფერენცირებული ანალიზი ისეთი ცვლადების მიხედვით, როგორცაა ასაკი და სქესი.

თუ გავანალიზებთ დასაქმების ცვლადს სქესთან მიმართებით, ამ ცვლადის მიხედვით სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ დაფიქსირდა. როგორც მონაცემებიდან იკვეთება,


მცირეა განსხვავება დასაქმების მიხედვით ქალებსა და კაცებს შორის, 46.7% (258) არის ქალების დასაქმების მაჩვენებელი, 51.1% (332) - კი კაცების დასაქმების მაჩვენებელი (იხ. დიაგრამა #14).

დიაგრამა #14: რესპონდენტების დასაქმების მაჩვენებელი სქესის მიხედვით (%) N=1201



ასაკის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი სატისტიკურად სანდო დონეზე განსხვავებულია. დიაგრამაზე #15-ზე მოცემულია დასაქმების პროცენტული მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. როგორც მონაცემებიდან იკვეთება, შედარებით დაბალი მაჩვენებელი დასაქმების თვასაზრისით შეინიშნება 35.7% 15-24 ასაკობრივ ჯგუფში, რაც ფაქტობრივად იმეორებს წინა კვლევების შედეგებს.


დიაგრამა #15: დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით N=1201



3.3 დასაქმების ზოგადი მახასიათებლები

მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რამდენად უკავშირდება დასაქმების მაჩვენებელი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობას. როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან #16 იკვეთება, დასაქმებულთა (დაქირავებით დასაქმებული) თითქმის ნახევრის (49.1% (216)) საქმიანობა არ არის დაკავშირებული პროფესიული პროგრამის სპეციალობასთან. 37.6% (213)-ის შემთხვევაში დასაქმება პირდაპირ უკავშირდება სპეციალობას, ხოლო 13.4% (49)-ის შემთხვევაში საქმიანობა ნაწილობრივ უკავშირდება სპეციალობას.

დიაგრამა #16: დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაოს კავშირი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობასთან (N=478)



იმ შემთხვევაში, თუ კავშირი არ იყო დასაქმებულის (დაქირავებით დასაქმებული) სამუშაოსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ სპეციალობას შორის, რესპონდენტები ხსნიდნენ მიზეზებს, თუ რატომ ვერ ან არ მუშაობდნენ თავისი პროფილით.

ძირითად მიზეზებს შორის დასახელდა შემდეგი: არასაკმარისი ცოდნა 6.7% (16) და გამოცდილება 14.25% (38), შემოთავაზებული ხელფასი 13.3% (35), პროფესიაზე დაბალი მოთხოვნა 11.1% (29) და პანდემიური მდგომარეობა 22.3% (58). საკმაოდ დიდი ქვეჯგუფი იყო კატეგორია „სხვა“, რომელიც მოიაზრებდა ისეთ მიზეზებს, როგორცაა: არასრულწლოვნება; პროგრამა, როგორც ჰობი და მხოლოდ ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება; ჯანმრთელობის მდგომარეობა. ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ამ კატეგორიაში ჰქონდა იმ მიზეზს, რომ რესპონდენტის სამსახურის ძებნა არც უცდია (იხ. დიაგრამა #17).

დიაგრამა #17: მიზეზები, რატომ ვერ პოულობს რესპონდენტი პროფილის შესაბამის სამუშაოს (N=261)




დასაქმებულების დიდი ნაწილი - 63.1% (302) კერძო დაწესებულებაში მუშაობს, სახელმწიფო დაწესებულებაში - 34.6% (166), ხოლო დანარჩენი - 2.3% (11) მუშაობს ისეთი ტიპის დაწესებულებებში, როგორცაა სააქციო საზოგადოება, ან არის ინდემწარმე, ან ამზადებს ბავშებს სხვადასხვა საგანში.

დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას (96.7% (462)) სამუშაო პროცესში ჩაბმის მიზნით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ დასჭირდა, დარჩენილ 3.3% (16)-ს მოუწია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და უმეტეს შემთხვევაში დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი) გადასვლა დასაქმების მიზნით. თუ ამ მონაცემს შევადარებთ გასული წლის მონაცემებს მაშინ ვნახავთ, რომ დასაქმების მიზნით


ადგილის ცვლილების მაჩვენებელი 2018 წლის კურსდამთავრებულებთან იყო 15%. რაც 2019 წლის კურსდამთავრებულებთან შედარებით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა #18).

დიაგრამა #18: დასაქმების მიზნით საცხოვრებელი ადგილის შეცვლის პროცენტული მაჩვენებელი




დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა (73% (353)) სამსახურის დაწყება დამოუკიდებლად შეძლო, 13.3% (64)-ს დაეხმარა ნაცნობ-მეგობარი, ნათესავი ან ოჯახის წევრი, გამოკითხულთა მცირე ნაწილს დასაქმებაში დაეხმარა კოლეჯი (7.9% (38)), ხოლო ნაწილს სამსახური შესთავაზეს იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდა პრაქტიკას (7.6% (36)) (იხ. დიაგრამა #19).

დიაგრამა #19: სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული ფაქტორები (N=478)




დაქირავებით დასაქმებული კურსდამთავრებულების დაახლოებით ერთი მეხუთედი ნაწილის (19% (91)) ყოველთვიური საშუალო ხელფასი არის 900 ლარზე მეტი, 400 - 600 ლარის დიაპაზონში ხელფასი მიუთითა რესპონდენტების 32% (153)-მა, 601 – 800 ლარის დიაპაზონში - კი დასაქმებულთა 13.9% (66)-მა. 801 ლარიდან 900 ლარამდე ხელფასი აქვს გამოკითხულთა 4.1% (20)-ს. რაც შეეხება 200 ლარამდე სახელფასო ანაზღაურებას, რესპონდენტების 1.3%-ს (6) აქვს მითითებული. 200-400 ლარის შუალედში მიუთითა ხელფასი გამოკითხულთა 15.9%-მა (76) (უფრო დეტალური სურათისთვის იხილეთ დიაგრამა #20). ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ რესპონდენტების ყველაზე მეტმა პროცენტმა (24.4%) უარი თქვა ხელფასის რაოდენობის გაცხადებაზე.

დიაგრამა #20: დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი



რაც შეეხება დასაქმებული კურსდამთავრებულების სამუშაო გრაფიკს, როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს რესპონდენტთა დიდი ნაწილის სამუშაო დღე სტანდარტული 40 საათის ფარგლებში მერყეობს. თუმცა, გაბნევის მაჩვენებელი ძალიან მაღალია. ქვემოთ მოცემულ დანართში #6 და #7-ზე წარმოდგენილია დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაო საათების აღწერილი სტატისტიკა. რესპონდენტების დაახლოებით 64% (274)-ის კვირის სამუშაო დატვირთვა მერყეობს 29-58 საათს შორის. რაც შეეხება სამუშაო კონტრაქტის ტიპს, კვლევაში მონაწილეთა დაახლოებით მეოთხედ ნაწილს (25.3% (118)) სამუშაო ხელშეკრულება ერთი წლის ვადით აქვს, დაახლოებით მეხუთედ ნაწილს (21.1% (98)) საერთოდ არ აქვს ხელშეკრულება, ხოლო ნაწილს კი უვადო ხელშეკრულება აქვს (19.7% (91)). გამოკითხულთა დაახლოებით 21% (96)-მა მიუთითა, რომ საკუთარი შრომითი ხელშეკრულების ვადა არ იცის. 1 დან 3 წლამდე ვადით სამუშაო ხელშეკრულება აქვს 11.7% (54)-ს, ხოლო 3 წელზე მეტი აქვს 1.6% (7)-ს (იხ. დიაგრამა #21).


დიაგრამა #21: სამუშაო ხელშეკრულების ხანგრძლივობა (N=464)



3.4 დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი რეგიონისა და დარგების მიხედვით


თუ ჩვენ განვიხილავთ დასაქმებას რეგიონების მიხედვით, მაშინ ვნახავთ, რომ ერთი შეხედვით დასაქმების პროცენტული მაჩვენებლები გაცილებით მაღალია ისეთ რეგიონებში როგორცაა თბილისი, იმერეთი, აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, მაგრამ თუ შევხედავთ პროპორციულ განაწილებას დასაქმებულსა და დაუსაქმებელ რესპონდენტების რაოდენობას შორის, ვნახავთ, რომ მაგ. აჭარაში დაუსაქმებელ კურსდამთავრებულთა რაოდენობა აღემატება დასაქმებულთა რაოდენობას, თბილისში კი თითქმის თანაბარია. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა კახეთი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება უმუშევართა რაოდენობას. უფრო დეტალური სურათისთვის იხილეთ დიაგრამა #22 და დანართი #8

დიაგრამა #22: დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი რეგიონები მიხედვით (N=1201)




მიმართულებების მიხედვით დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სოციალურ მეცნიერებების, განათლების, ჯანდაცვის, ინჟინერიისა და აგრარულ მეცნიერებების კურსდამთავრებულებში გხვდება. მათ მოსდევს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ხელოვნება და მიმართულებათაშორისი დარგები. ყველაზე ნაკლები დასაქმების მაჩვენებელი აქვს ბიზნესის ადმინისტრირებას, დეტალური სურათისთვის იხილეთ დიაგრამა #23.

დიაგრამა #23: დასაქმებისა და უმუშევრობის განაწილება მიმართულებების მიხედვით




საინტერესოა, როგორია დასაქმების მაჩვენებელი რეგიონებში მიმართულებების მიხედვით. განხორციელებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მიღებული განაწილება სტატისტიკურად სანდო იყო მხოლოდ რამდენიმე რეგიონის შემთხვევაში. სტატისტიკურად სანდო მოცემულობა გვაქვს შემდეგ რეგიონებში: იმერეთი და სამცხე-ჯავახეთი. როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამებიდან #24 და #25 იკვეთება, ინჟინერიის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი საგრძობლად აღემატება დაუსაქმებელი რესპონდენტების მაჩვენებელს. იმერეთის რეგიონში განათლების პროგრამების მიმართულებით იყო 2 კურსდამთავრებული და ორივე დასაქმებულია. დანარჩენი რეგიონების დეტალური მაჩვენებლები წარმოდგენილია დანართში #9.

დიაგრამა #24: დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელი იმერეთის რეგიონში (N=119)



დიაგრამა #25: დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელი სამცხე -ჯავახეთის რეგიონის მიხედვით (N=53)




3.5 დასაქმების მთლიანი მაჩვენებელი პროგრამის ტიპის მიხედვით

2019 წლის კურსდამთავრებულთა კვლევაში გამოიკითხნენ როგორც მოდულური და საგნობრივი პროგრამების კურსდამთავრებულები, ასევე, კვლევაში მოხვდნენ, პროფესიული განათლების სისტემაში შედარებით ახლად დანერგილი, დუალური მიდგომით განხორციელებული პროგრამების კურსდამთავრებულები. თუ შევხედვით კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელს პროგრამების ტიპის მიხედვით, მაშინ ვნახავთ რომ 2019 წლის კურსდამთავრებულები ძირითადად სწავლობდნენ მოდულური ტიპის პროგრამებზე.²

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე #26 წარმოდგენილია კურსდამთავრებულების პროცენტული განაწილება პროგრამის ტიპის მიხედვით. როგორც მონაცემებიდან იკვეთება კურსდამთავრებულთა 59,7% (717) სწავლობდა მოდულური პროგრამებზე, ხოლო 37,8% (454) სწავლობდა საგნობრივი პროგრამებზე. მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი 2,5% (30) სწავლობდა დუალურ პროგრამაზე (იხ. დიაგრამა #26).

დიაგრამა #26: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება პროგრამის ტიპის მიხედვით (N=1201)




თუ შევხედავთ დასაქმების მაჩვენებელს პროგრამების ტიპის მიხედვით, მაშინ ვნახავთ, რომ დუალური პროგრამების (რომლებიც გულისხმობს, რომ სტუდენტის განვითარებაზე პასუხისმგებლობას იღებს არა მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, არამედ თავად ორგანიზაცია, რომელსაც აქვს სტუდენტის დასაქმების პოტენციალი და აძლევს მას პრატიკულ გამოცდილებას) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი აღემატება

² 2016 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში დაიწყო საგნობრივი პროგრამების მოდულური პროგრამებით ჩანაცვლება. 2019 წელს სისტემა მთლიანად გადავიდა მოდულურ სწავლებაზე.

დაუსაქმებელი კურსდამთავრებულების მაჩვენებლებს და წარმოადგენს 60%-ს, რაც რაოდენობრივად 18 კურსდამთავრებულია. საგნობრივი პროგრამების შემთხვევაში ეს პირიქითაა, ხოლო მოდულური პროგრამების შემთხვევაში კი განსხვავება უმნიშვნელოა (იხ. დიაგრამა #27).

დიაგრამა #27: დასაქმება პროგრამის ტიპის მიხედვით N=1201




3.6 თვითდასაქმებული კურსდამთავრებულები

რესპონდენტები, რომელთაც აღნიშნავენ, რომ თვითდასაქმებულები არიან, მიუთითებენ ისეთ პროფესიულ საქმიანობებზე, როგორცაა, მაგ.: საკურიერო მომსახურება, ავეჯის დამზადება, გაყიდვები, სტილისტი, მასაჟისტი, ელექტროობა, კერძო სწავლება, შემდუღებლობა, ტურიზმი, სამკერვალო საქმე, მეხილეობა, მებაღეობა, მეფუტკრეობა და ა.შ. საქმიანობებს შორის დომინანტური საქმიანობა ან ტენდენციური სამუშაო არ გამოკვეთილა.

შინამეურნეობის/კერძო ბიზნესის დაწყებისთვის თვითდასაქმებული რესპონდენტების 7.6 %-ს (9) მოუწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, სამსახურებრივი მიგრაცია ძირითადად განხორციელდა თბილისში, რუსთავში, მესტიასა და ოზურგეთში.


თუ რამდენად უკავშირდება მათი საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით მიღებულ სპეციალობას, ამ კითხვაზე რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა (56% (67)) უპასუხა, რომ მათი საქმიანობა უკავშირდება მიღებულ სპეციალობას. ასევე საკმაოდ მაღალია თვითდასაქმებული რესპონდენტების მაჩვენებელი, რომელთაც არ უკავშირდება მიღებულ სპეციალობას (36.1% (43)). მხოლოდ რესპონდენტების მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ მათი შინამეურნეობის/ბიზნესის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობა ნაწილობრივ უკავშირდება პროფესიული პროგრამის ფარგლებში მიღებულ სპეციალობას (იხ. დიაგრამა #28).

დიაგრამა #28: დაკავშირებულია თუ არა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან? N=120




თვითდასაქმებულების შემოსავლის ძირითადი ტენდენციური მაჩვენებელი (მოდა) არის 900 ლარზე მეტი შემოსავალი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტების დიდმა ნაწილმა (28.9% (35)) უარი განაცხადა შინამეურნეობით მიღებული შემოსავლის რაოდენობის დაფიქსირებაზე (იხ. დიაგრამა #29).

დიაგრამა #29: თვითდასაქმებულთა საშუალო თვიური შემოსავალი (N=120)



კითხვაზე, თუ რატომ გადაწყვიტეთ შინამეურნეობის/საკუთარი ბიზნესის წამოწყება? ყველაზე ხშირ პასუხს წარმოადგენდა ის, რომ ჰქონდათ შესაბამისი პროფესიული განათლება (30.3% (36)), ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საკუთარ ბიზნესს (30.1% (36)), ვერ იშოვეს სამსახური და კერძო ბიზნესი გახდა მათი შემოსავლის წყარო (29.9% (36)). ასევე მნიშვნელოვან მიზეზებად დასახელდა ისეთი ცვლადები, როგორიცაა ბიზნესის მართვის კარგი უნარი (20.9% (25)), ბიზნესის წამოწყებისათვის საჭირო რესურსების არსებობა (19.6% (24)), ხოლო ისეთი ცვლადები, როგორიცაა კარგი ბიზნეს გეგმა (11% (13)), საქმიანი კონტაქტები (8.8% (11)), სესხის ან გრანტის აღების საშუალება (6.9% (8)) ნაკლებად განიხილება შინამეურნეობის წამოწყების მიზეზებად. დეტალური სურათისთვის იხ. დიაგრამა #30.

დიაგრამა #30: შინამეურნეობის/ბიზნესის წამოწყების მიზეზები (რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე პასუხი)



3.7 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე კურსდამთავრებულების დასაქმება და დამოკიდებულებები პროფესიული განათლებისადმი

პროფესიული განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძლიერი მხარე არის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს შეთავაზება ნებისმიერი საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ინდივიდებისთვის. შესაბამისად დიდი ყურადღება ექცევა თუ როგორ უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება პროგრამულ და სწავლა-

სწავლების პროცესის ადაპტაციას ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან, როგორ უწყობს ხელს დასაქმებას და შრომის ბაზარზე სსსმ/მშმ კურსდამთავრებულების ტრანზიციას.


კვლევაში მონაწილე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე კურსდამთავრებულები გამოკითხულთა დაახლოებით 4% (50)-ს წარმოადგენდნენ. მათი დასაქმების მაჩვენებელი არის 18 %, რაც იმას გულისხმობს, რომ კვლევაში მონაწილე 50 სსსმ კურსდამთავრებულიდან მხოლოდ 9 არის დასაქმებული, აქედან 7 დაქირავებით დასაქმებული და 2 თვითდასაქმებული. დანარჩენი 41 კურსდამთავრებულიდან 8 სწავლობს უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. თუ შევხედავთ მათი დასაქმების მაჩვენებელს მიმართულებების მიხედვით ვნახავთ, რომ 3 კურსდამთავრებული დასაქმებულია ინჟინერიის, 2 - ხელოვნების და თითო რესპონდენტი ყველა დარჩენილი მიმართულების მიხედვით, გარდა მიმართულებათაშორისი დარგებისა.

რაც შეეხება დასაქმებით კმაყოფილებას, ამ კითხვას 9 რესპონდენტიდან პასუხი გასცა მხოლოდ 5-მა. შედეგები ასე გადანაწილდა, 3 - კმაყოფილია, ხოლო 2 რესპონდენტი - ნაწილობრივ კმაყოფილია.

3.8 დაუსაქმებელი კურსდამთავრებულები


რესპონდენტები, რომლებიც დაუსაქმებელი არიან, საუბრობენ იმ მიზეზებზე, რომლებიც მათი აზრით, უმუშევრობის ძირითადი პრედიქტორებია. ყველაზე მნიშვნელოვან პრედიქტორად მიჩნეულია არსებული პანდემიური მდგომარეობა (54.2%(331)). შექმნილი სიტუაციის გამო ადამიანები ვერ შოულობენ სამსახურს. დასაქმების ხელშემშლელ მიზეზებად ასევე დასახელდა არასაკმარისი გამოცდილება სპეციალობის მიმართულებით (10.7% (65)), დაბალი მოთხოვნა პროფესიაზე (8.8% (54)), შეთავზებული ხელფასის სიმცირე (7.4%(45)) და გარკვეული უნარების (უცხო ენის ცოდნა, კომპიუტერული უნარები, და სხვა) გაუმჯობესება (იხ. დიაგრამა #31).

დიაგრამა #30: დასაქმების ხელშემშლელი ფაქტორები (რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე პასუხი) N=611



დაუსაქმებელი კურსდამთვევრებულებიდან 66.1% (355) სამსახურის ძიების პროცესშია, ხოლო 33.9% (182) სამსახურს არ ეძებს. ის რესპონდენტები, რომელთაც მიუთითეს, რომ სამსახურს არ ეძებენ, საუბრობენ იმ მიზეზებზე, რაც მათ ამ გადაწყვეტილებას განაპირობებს: არსებული პანდემიური მდგომარეობა, ისედაც შემცირებული სამუშაო ადგილები, ოჯახური მდგომარეობა, ჯარში მსახურების პერიოდი და სხვა (იხ. დიაგრამა #32). ასევე კატეგორიაში „სხვა“ გამოიკვეთა ისეთი პასუხები, როგორცაა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის გადაწყვეტილება, დეკრეტული შვებულება, ინტერნეტთან წვდომის არ არსებობა, დროებითი უხელფასო შვებულება და სხვა.

დიაგრამა #32: მიზეზები, თუ რატომ არ ეძებენ დაუსაქმებელი კურსდამთავრებულები სამსახურს (რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ რამდენიმე პასუხი)



3.9 სტაჟირება/შეგირდობა

გამოკითხულთაგან რამდენიმე კურსდამთავრებული (0.7% (8)) გადის სტაჟირებას კერძო (5) ან სახელმწიფო დაწესებულებაში (1) ან არის შეგირდი სპეციალისტთან/ოსტატთან (2). აქედან მხოლოდ 4 რესპონდენტი (სტაჟირიორების/შეგირდების 50%) გადის სტაჟირებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სპეციალობით. სტაჟირების დასაწყებად მხოლოდ ერთ რესპონდენტს დასჭირდა კონკურსის გავლა, დანარჩენმა სტაჟირება დაიწყო ან დამოუკიდებელი ძიების საფუძველზე, ან მეგობრებისა და ნაცნობების დახმარებით. რაც შეეხება შეგირდობის ან სტაჟირების ანაზღაურებას, მხოლოდ ორმა რესპონდენტმა მიუთითა ანაზღაურების შესახებ, დანარჩენი 6 რესპონდენტის შემთხვევაში სტაჟირება არაანაზღაურებადი.

3.10 კურსდამთავრებულები, რომელთაც სწავლა გააგრძელეს უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე ან სწავლობენ რომელიმე პროფესიულ პროგრამაზე

კურსდამთავრებულების ნაწილი 3 % (33), რომელთაც პროგრამის დასრულების შემდგომ სწავლა გააგრძელეს უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე ან სწავლობენ რომელიმე პროფესიულ პროგრამაზე აღნიშნავენ, რომ მათი ახალი სასწავლო პროგრამა არ არის დაკავშირებული დასრულებული პროფესიული პროგრამის სპეციალობასთან (46.6% (15)). ნაწილი აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ უკავშირდება პროგრამებს (34.4% (11)), ხოლო შედარებით მცირე ნაწილი უთითებს, რომ მათი სასწავლო პროგრამა დაკავშირებულია მიღებულ სპეციალობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი არ უკავშირებს მიმდინარე სპეციალობას თავის განვლილ პროგრამას, მათი ნაწილი საუბრობს სწავლის გაგრძელების მნიშვნელობასა და პროფესიულ სამომავლო გეგმებზე, ისინი აღნიშნავენ, რომ სწავლის პროფილი არ შეუცვლიათ, დაიმატეს ახალი პროფესია, რაც მათივე სიტყვებით გამოწვეული იყო განვლილი პროგრამის ეფექტიანობით. ასევე მიიჩნევენ, რომ ახალიც და ძველი პროგრამაც, ორივე მნიშვნელოვანია. არის ამ კატეგორიის რესპონდენტების კერძო შემთხვევები, როცა ისინი უმაღლეს დაწესებულებაში სწავლის პარალელურად აბარებენ პროფესიულ პროგრამებზე და იღებენ პროფესიულ განათლებას. თუმცა, ამ კატეგორიაში შედის ის რესპონდენტებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ვერ გამოადგებათ განვლილი პროგრამა და ამიტომ შეიცვალეს პროფილი.

შეჯამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულების დასაქმება ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლადია ერთი მხრივ პროგრამების ეფექტიანობის შეფასებისა და მეორე მხრივ ინდივიდის პროფესიული განვითარებისა და მისი მხარდაჭერის თვალსაზრისით. როგორც მონაცემებმა ცხადყო, 2019 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი არც თუ მაღალია, დაახლოებით ყოველი მეორე კურსდამთავრებული დაუსაქმებელია. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია წინა წელთან შედარებით, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია საგანგებო გარემოება, რომელიც უკავშირდება Covid-19 ვირუსით გამოწვეულ პანდემიას. სწორედ კურსდამთავრებულებისათვის პოტენციურ სამუშაო პერიოდში (2020 წელს) დაიხურა საწარმოები, შეჩერდა დიდი და მცირე ორიგანიზაციების მუშაობა, ამან რა თქმა უნდა შეამცირა ერთი მხრივ სამუშაო ადგილები, და მეორე მხრივ დასაქმების მძებნელთა მოტივაცია და მცდელობები, რაც მკაფიოდ იკვეთება მონაცემებიდან. კურსდამთავრებულებში წამყვანი იყო ტენდენცია თავი შეეკავებინათ სამახურის ძიებისა და სამუშაოს დაწყების მცდელობებისაგან არსებული პანდემიური მდგომარეობის გამო.

ძირითადი საყურადღებო საკითხები, რაც დასაქმების მიმართულებით გამოიკვეთა, ეს არის 15-24 წლის ახლაგაზრდების დასაქმების დაბალი მაჩვენებელი სხვა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით და დასაქმების ნაკლები კავშირი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით მიღებულ სპეციალობასთან, რაც შემდგომი კვლევისა და ანალიზის საგანია.

4. სამუშაოს ძებნის პარამეტრები - ძიების მეთოდები, თვითშეფასება, მხარდაჭერა და ამ პროცესთან დაკავშირებული სირთულეები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებას და მის ხელშეწყობას პროფესიული იდენტიფიკაციისა და მასთან აფილაციისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სპეციალური საჭიროებებისა და ინკლუზიური განათლების ევროპული სააგენტო³ განიხილავს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ პროფესიული განათლების ეფექტიანობასა და განვითარებაზე. მნიშვნელოვან და საკვანძო ფაქტორებს შორის არის ისეთი ფაქტორები, როგორცაა ტრანზიციის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, პროგრამის დასრულების შემდგომი მონიტორინგი და მხარდაჭერა (Follow up).

ტრანზიციის ხელშეწყობა, როგორც პროფესიული განათლების მიღების შემდგომი მხარდაჭერა გულისხმობს კურსდამთავრებულების ინფორმირებას დასაქმების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, დამსაქმებლებთან კონტაქტისა და სამუშაოს ძიების ხელშეწყობას. ხოლო, პროგრამის დასრულების შემდგომი მონიტორინგი და ზედამხედველობა (Follow up), არის დასაქმების შემდგომი მხარდაჭერი აქტივობები, რომლებიც გრძელდება იმდენი ხანი, რამდენიც ეს საჭიროა სტაბილური დინამიკისათვის, რომელიც ეხება დამსაქმებლისა და


³ (<http://www.european-agency.org/agency-projects/vocational-education-and-training>)

კურსდამთავრებულების ურთიერთობას, კურსდამთავრებულების საჭიროებებს დასაქმების პროცესში და მათ მხარდაჭერას (პროფესიული განათლების ევროპული საბჭო, 2010).

2019 წლის კურსდამთავრებულების კვლევაში ხაზგასმული იყო ის საკითხი, თუ როგორ ხედავენ ისინი საკუთარი დასაქმების შესაძლებლობას, მხარდაჭერას და ყველა იმ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია მათი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შრომის ბაზარზე ტრანზიციასთან.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა #33 აღწერს, თუ როგორ აფასებენ რესპონდენტები საგანმანათლებლო პროგრამით მიღებული კომპეტენციების შესაბამისობას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან. მონაცემები ცხადყოფს, რომ როგორც თვითდასაქმებული (58.8% - 273), ასევე დაქირავებით დასაქმებული (59.4% (71)) რესპონდენტების დიდი ნაწილი პროფესიული პროგრამებით მიღებულ კვალიფიკაციას აფასებენ, როგორც სამუშაოს მოთხოვნებთან შესაბამისს. რესპონდენტთა ნაწილი (თვითდასაქმებულების 14.5% (17) და დაქირავებით დასაქმებულების - 13.6% (63) რესპონდენტების აღნიშნავს, რომ მათ მიიღეს იმაზე მაღალი კვალიფიკაცია, ვიდრე ეს მათ დასაქმების ადგილზე და სამუშაო პირობებში სჭირდებათ (სულ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა 28% (80)). რაც შეეხება იმ რესპონდენტების პროცენტულ რაოდენობას, რომელთა შეფასებითაც პროფესიული პროგრამებით მიღებული კვალიფიკაცია უფრო დაბალია, ვიდრე სამუშაო მოთხოვნები, ძალიან მცირეა და თითქმის თანაბარია თვითდასაქმებულებსა (1.8%(2)) და დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულებს (2.0%(9)) შორის. საკმაოდ მაღალია იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც მიუთითეს, რომ მიღებული კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული მათ სამუშაოსთან, ეს მაჩვენებელიც თითქმის თანაბარია პროცენტული განაწილების თაღსაზრისით თვითდასაქმებულებსა (24.3% (29) და დაქირავებით დასაქმებულებთან (25.6% (119)).


დიაგრამა #33: კვალიფიკაციის შესაბამისობა სამუშაო მოთხოვნებთან



კურსდამთავრებულები დასაქმების პერსპექტივასა და შესაძლებლობების შესახებ კითხვებზე პასუხისას აღნიშნავენ, რომ ძირითადად თავად უწყვეტ მოიძონ სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაცია (იხ. ზემოთ მოცემული დიაგრამა #19), ან დაიხმარონ ნაცნობთა წრეები. ძალიან მცირეა იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომელთაც თავად პროფესიული სასწავლებელი ეხმარება დასაქმებაში (7.9% (38)), ან დარჩა სამუშაოდ იმ ორგანიზაციაში, სადაც საწარმოო პრაქტიკას გადიოდა (7.6% (36)).


თუ გადავხედავთ დიაგრამას #34, რომელზეც ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო ორგანიზაციების მხრიდან დასაქმებაში მხარდაჭერის მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით, ვნახავთ, რომ თითქმის ყველა რეგიონში ერთნაირად დაბალია მხარდაჭერა.

დიაგრამა #34: დასაქმების მხარდაჭერა რეგიონების მიხედვით N=478



კითხვაზე, მიუღიათ თუ არა რომელიმე დაწესებულებისგან ან ვინმესგან რჩევა დასაქმებასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარმა (51.2% (614)) აღნიშნა, რომ რჩევა არავისგან არ მიუღია, ხოლო იმ პროფესიული ორგანიზაციისაგან, რომელიც დაამთავრეს, რჩევა მიიღო რესპონდენტთა 34.2%-მა (410). რესპონდენტები ასევე საუბრობენ ახლობლებისა (9% (108)) და პრაქტიკის დაწესებულებებისგან (9.8% (117)) მხარდაჭერაზე. ძალიან მცირეა, თითქმის ნულს უტოლდება, დასაქმების კერძო და სახელმწიფო სააგენტოებისგან მხარდაჭერა რჩევის მიცემის და ინფორმირებულობის თვალსაზრისით (იხ. დიაგრამა #35).

დიაგრამა #35: კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა რჩევის სახით დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით (N=1201)



თუ თვალს გავადევნებთ იგივე ცვლადს მიმართულებების მიხედვით, მაშინ ვნახავთ, რომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი პროფესიული ორგანიზაციების ჩართულობის თვალსაზრისით აქვს განათლებისა და სოციალური მეცნიერებების დარგებს. მათი კურსდამთავრებულები ძირითადად საუბრობდნენ იმაზე, რომ რჩევა არავისგან მიუღიათ, იგივე მაჩვენებელი დანარჩენი დარგების მიხედვითაც საკამოდ მაღალია(იხ. ცხრილი #3).

ცხრილი #3 კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა დასაქმების საკითხებთან დაკავშირებით მიმართულებებისა და დაწესებულების მიხედვით

მიმართულებები	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება	დასაქმების სახელმწიფო ცენტრი	დასაქმების კერძო სააგენტო	პრაქტიკის ადგილი	რჩევა არავისგან მიმიღია	ახლობლებისგან
აგრარული მეცნიერებანი	42.7%	.4%	1.2%	12.4%	46.5%	8.7%
ბიზნესის ადმინისტრირება	24.2%	1.6%	2.3%	7.0%	57.4%	3.1%
განათლება	11.4%	2.9%	2.9%	5.7%	77.1%	5.7%
ინჟინერია	33.6%	.9%	1.3%	7.5%	52.6%	10.3%
მიმართულებათა შორისი დარგები ან	31.0%	.9%	0	11.5%	53.1%	7.1%

სპეციალობები						
სოციალური მეცნიერებები	10.0%	0	0	0	90.0%	0
ხელოვნება	34.7%	1.4%	1.4%	12.5%	43.1%	11.1%
ჯანდაცვა	47.0%	3.0%	3.0%	13.8%	41.5%	13.8%

შეჯამება

როგორც ანალიზიდან გამოიკვეთა სერიოზულ სუსტ წერტილად შეიძლება იყოს მიჩნეული პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლის დასრულების შემდგომი მხარდაჭერისა და მონიტორინგის სისტემა. სუსტია სერვისი, რომელიც დაეხმარება კურსდამთავრებულებს, მიიღონ ინფორმაცია დასაქმების სფეროებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ჰქონდეთ წვდომა იმ ორგანიზაციებსა და ინსტიტუციებს, რომლებიც მათი პოტენციური დამსაქმებლები არიან. დაამყარონ კონტაქტი მათთან, გაიაზრონ პროფესიის შესაძლებლობები და დაგეგმონ საკუთარი პროფესიული განვითარება


5. კომპეტენცია და სამუშაო კმაყოფილება

განათლების პროცესსა და ამ მიმართულებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს ფაქტორთა მთელი რიგი და მათ შორის არის ისეთი ფაქტორები, როგორცაა მსწავლელის/სტუდენტის სოციალური ცხოვრების ბუნება, მიზანდასახულობა და მიზნებისადმი ერთგულება, სასურველი დასაქმება, თვითშეფასება და აკადემიური მიღწევები (ჰემინგსი და სხვ. 1994). კვლევები ცხადყოფს, რომ სტუდენტებმა შეიძლება, აირჩიონ სასწავლო კურსი მხოლოდ იმიტომ, რომ მათ იციან, რომ შეუძლიათ მარტივად მიაღწიონ წარმატებას (Vick 1994). ახალგაზრდების დიდი ნაწილსთვის განათლება არის დასაქმების წინაპირობა და მისი ინსტრუმენტული ღირებულების გამო დიდი ყურადღებით ეკიდებიან სწავლის პროცესს (Smith 1994; Doyle, Kurr & Kurth 1999; Dwyer et al). ახალგაზრდები უფრო მეტად ირჩევენ ისეთ პროფესიებსა და სასწავლო მიმართულებებს, რომლითაც შეეძლება დამაკმაყოფილებელი სამუშაოს შოვნა (Smith 1994).

2019 წლის კურსდამთავრებულების კვლევამ ცხადყო, რომ დასაქმებული რესპონდენტების დიდი ნაწილი (69.2% (310)) კითხვაზე, კმაყოფილი ხართ თუ არა სამსახურით, დადებითად პასუხობს. ნაწილობრივ კმაყოფილებაზე საუბრობს რესპონდენტების 28.1% (126) ხოლო


საკუთარ სამსახურზე უკმაყოფილებას გამოთქვამს გამოკითხულთა ძალიან მცირე რაოდენობა, 2.7% , რაც შეადგენს 12 რესპონდენტს(იხ. დიაგრამა #36).

დიაგრამა #36: კმაყოფილი ხართ თუ არა სამსახურით? N= 449




თუ შევხედავთ კმაყოფილების ცვლადის განაწილებას მიმართულებების მიხედვით, ვნახავთ, რომ პროფესიული მიმართულებების თვალსაზრისით ყველგან იკვეთება სამსახურით კმაყოფილების ტენდენცია. განსკუთრებით მაღალი მაჩვენებელი არის ჯანდაცვისა და განათლების მიმართულებებში (იხ. დიაგრამა #37).

დიაგრამა #37: რამდენად კმაყოფილი ხართ სამსახურით? განაწილება მიმართულებების მიხედვით (N=449)




კვლევა იძლევა საშუალებას, გავშალოთ ცნება „კმაყოფილების“ შინაარსობრივი მხარე და ვნახოთ, კონკრეტულად რა არის კმაყოფილების ასპექტები: რა უფრო მეტად მნიშვნელოვანია რესპონდენტებისთვის კმაყოფილების თვალსაზრისით: სტატუსი, ხელფასი, თუ საქმის შინაარსობრივი მხარე. როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამა #38 ჩანს, სამივე ცვლადი მეტნაკლებად ღირებულია კურსდამთავრებულებისათვის. მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ რესპონდენტები სამსახურით კმაყოფილების შეფასებისას უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებენ შესასრულებელი საქმის შინაარსს და სამსახურებრივ სტატუსს, ვიდრე ხელფასს, თუმცა ხელფასის მაჩვენებელიც მიჩნეულია, როგორც მნიშვნელოვანი.

დიაგრამა #38: შრომითი კმაყოფილების ასპექტები (N=449)



მიმართულებების მიხედვით კმაყოფილების მაჩვენებლებში სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა ხელფასთან მიმართებით. ის მცირედ, მაგრამ სანდოდ განსხვავდება. კერძოდ, შედარებით მაღალი საშუალო მაჩვენებელი დაფიქსირდა აგრარული მეცნიერებებისა და ინჟინერიის მიმართულებით (იხ.დიაგრამა #39), რაც გულისხმობს ხელფასის უფრო მაღალ დატვირთვას სამსახურით კმაყოფილებაში.

დიაგრამა #39: შრომითი კმაყოფილების საშუალო მაჩვენებლები მიმართულებების მიხედვით N=449




ასაკობრივი თვალსაზრისით სტატისტიკურად სანდო დონეზე კმაყოფილების ცვლადში საშუალოებს შორის განსხვავება არ დაფიქსირდა.

რაც შეეხება კურსდამთავრებულების შეფასებას, თუ რამდენად კმაყოფილები არიან ისინი საკუთარი კომპეტენციით ამაზე ვისაუბრეთ ქვეთავში სამუშაოს ძებნის პარამეტრები. როგორც

ვნახეთ დასაქმებულების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს პროფესიული პროგრამების საფუძვლზე მიღებულ კომპეტენციას (იხ. დიაგრამა #42), მაგრამ საინტერესოა იმ რესპონდენტების შეფასებაც, რომლებიც არ არიან დასაქმებულნი. თუ გადავხედავთ ინფორმაციას კურსდამთავრებულთა ამ კატეგორიის შესახებ, ზემოთ მოცემულ ქვეთავში „დაუსაქმებელი კურსდამთავრებულები“, ვნახავთ, რომ მათგან მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი საუბრობს დასაქმების ხელისშემშლელ ისეთ მიზეზებზე, რომლებიც ცოდნას, კომპეტენციას უკავშირდება, თავის მხრივ კომპეტენციებთან დაკავშირებულ მიზეზებს შორის შედარებით მაღალია სამუშაო გამოცდილების ნაკლებობასთან დაკავშირებული მიზეზების ხვედრითი წილი (იხ. დიაგრამა #40).

დიაგრამა #40: მიზეზები, თუ რატომ ვერ პოულობენ კურსდამთავრებულები სამსახურს კომპეტენციებზე აქცენტით



თუ თვალს გადავავლებთ საერთაშორისო კვლევებს, თვისებრივი კვლევებით ვლინდება ორი ტიპის მოტივაციური ფაქტორი, რომლებიც ხელს უწყობენ პროფესიული განათლების პოპულარიზაციას, მის განვითარებასა და პროფესიულ პროგრამებში სტუდენტების მოზიდვას:

პოზიტიური მოტივაციური ფაქტორები: სწავლის/დახელოვნების სურვილი (პირადი ან ოჯახის), უწყვეტი განათლების შანსი, სამსახურის შოვნა დამთავრებისთანავე, საკუთარი ბიზნესის დაფუძნება, საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების განვითარება და ა.შ.


ნეგატიური მოტივაციური ფაქტორები: სწავლის გაგარძელების ამბიციის ნაკლებობა, ფინანსური წახალისება პროგრამებში ჩართულობისათვის, შრომითი გამოცდილების ნაკლებობა, კომპეტენციის ნაკლებობა (Al Rawahi, M. A. S., 2011).

ინდივიდის საკუთარი პროფესიული განვითარების კონცეფციას, თუ როგორ ხედავს ის საკუთარ მომავლს, რამდენად ორიენტირებულია პროფესიული უნარების სრულყოფასა და გამდიდრებაზე, როგორ აფასებს საკუთარ კომპეტენციებს, ასევე რწმენას იმისა, რომ მას აქვს სათანადო ცოდნა და უნარები, რათა მოიპოვის ადგილი შრომის ბაზარზე, პროფესიული


პროგრამების კურსდამთავრებულებისათვის და ზოგადად პროფესიული განათლების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

2019 წლის კურსდამთავრებულები კითხვაზე, თუ როგორ აფასებდნენ საკუთარი ცოდნისა და უნარების განვითარების საჭიროებას, ძირითადად პასუხობდნენ რომ სასურველი, ან ძალიან სასურველი იქნებოდა ყველა იმ უნარის განვითარებაზე ზრუნვა, როგორცაა პროფესიული პრაქტიკული უნარები (82.8% (994)), თეორიული ცოდნა (74% (889)), საქმის წარმოებისა და ორგანიზების უნარი (69.2% (831)), უცხო ენის ცოდნა (68.7%(825)), კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა (64.4%(773)), კომუნიკაციისა (63.7%(765)) და მეწარმეობის უნარები (59.1%(709)). განვითარებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სამიზნე მიმართულებებად მიიჩნევა პროფესიული პრაქტიკული და თეორიული უნარები და შედარებით დაბალი მაჩვენებლი აქვს მეწარმეობის უნარებს (იხ. დიაგრამები #41 და #42).

დიაგრამა #41: კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების საჭიროებები (N=1148)




დიაგრამა #42: კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების საჭიროებების დინამიკა (N=1148)



რაც შეეხება შემდგომ პროფესიულ განვითარებას სწავლის გაგრძელების სახით გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი (34% (403)) აპირებს, გააგრძელოს სწავლა არჩეული მიმდარტულებით, დაახლოებით მესამედი 31.1% (373) - არ აპირებს სწავლის გაგრძელებას, ხოლო 34.9% (419) ჯერ კიდევ გადაწყვეტილების მიღების პროცესშია (იხ. დიგრამა N43).

დიაგრამა #43: აპირებთ თუ არა სწავლის გაგრძელებას? N=1201



შეჯამება

2019 წლის კურსდამთავრებულები დადებითად აფასებენ, ერთი მხრივ, საკუთარ კომპეტენციას, რომელიც პროფესიული განათლების ფარგლებში განივითარეს და მეორე მხრივ, კმაყოფილნი არიან სამუშაოს სპეციფიკითა და მისი დატვირთვით. სამუშაო კმაყოფილებაში ისინი მოიაზრებენ ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა ხელფასი, სტატუსი და შესასრულებელი სამუშაოს შინაარსი. უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ სტატუსსა და საქმის შინაარსს, ვიდრე ხელფასს.

ასევე ისინი მიიჩნევენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია შემდგომშიც განივითარონ როგორც თეორიული პროფესიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული უნარები. კურსდამთავრებულები საუბრობენ ისეთი უნარების განვითარების საჭიროებებზე, როგორცაა უცხო ენის ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა და საქმის ორგანიზებისა და კომუნიკაციური უნარები.

ზოგადად, ისინი კმაყოფილნი არიან მიღებული გადაწყვეტილებით პროფესიულ პროგრამასთან დაკავშირებით. კურსდამთავრებულთა მესამედს მკაფიოდ აქვს სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილება მიღებული, მესამედს კი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია სწორი ინფორმირებისა და მხარდაჭერის პოლიტიკა, რათა პროფესიული იდენტიფიკაციის მყარი საფუძვლები შეიქმნას და კურსდამთავრებულები პროფესიაში დარჩნენ.

6. პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული ასპექტები რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას

პროფესიული განათლების განვითარებისა და მისი პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია, განხორციელდეს შეფასებები შემდეგი მიმართულებებით:


- სწავლა-სწავლების პროცესის შეფასება, მისი გაუმჯობესების მიზნით;
- ინდივიდუალური მიღწევების შეფასება და დადასტურება;
- პროგრამების ეფექტიანობის შეფასება (Mitchell, J., & all, 2006).

კურსდამთავრებულთა კვლევას გარკვეული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ამ სამივე მიმართულებით შეფასების საქმეში. კითხვარში გათვალისწინებული იყო როგორც რესპონდენტების მიერ განვლილი პროგრამების შეფასება, ასევე ზოგადად პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება და მნიშვნელოვანი გამოწვევების იდენტიფიცირება.

სწავლა-სწავლების პროცესისა და პროგრამების შეფასების თვალსაზრისით რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ, ესაუბრათ განვლილი პროგრამების შინაარსზე, სწავლების პროცესის, ხანგრძლივობის, რესურსების ხარისხიანობასა და მნიშვნელობაზე, ასევე იმ საჭიროებებზე, რაც პროფესიულ განათლებასთან ასოცირდება. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი 90%-ზე მეტი კმაყოფილია იმ პროფესიული პროგრამით, რომელიც დაასრულეს და იმ საგანმანათლებლო დაწესებულებით სადაც ისწავლეს. კერძოდ, კითხვაზე „ახლა რომ

აბარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას?“ გამოკითხულთა 93.8%-მა (1127), უპასუხა, რომ პროფესიას არ შეიცვლიდა, ხოლო, კითხვაზე აირჩევდნენ თუ არა იგივე პროფესიულ სასწავლებელს, ახლა რომ აბარებდნენ – 95.6% პასუხობს, რომ აირჩევდა. მიუხედავად კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაფილებისა საგანმანათლებლო პროგრამის და დაწესებულების მიმართ, კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტების მეხუთედი საუბრობს პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ ისეთი ასპექტების აუცილებელი გაუმჯობესების თაობაზე, როგორცაა საკვანძო კომპეტენციები (კომუნიკაცია, სამეწარმეო უნარები), სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა, სწავლის შეფასების მეთოდები, პროფესიული მასწავლებლის კომპეტენცია. დაახლოებით მეოთხედი - სწავლის მეთოდებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ყველაზე დიდი ნაწილისთვის აუცილებელია, განვითარდეს და გაუმჯობესდეს დასაქმების ხელშეწყობა (51.6% (544)) და პრაქტიკული კურსები (39.8% (454)). კურსდამთავრებულების ნაწილი ასევე საუბრობს საგანმანათლებლო დაწესებულების შენობის მდგომარეობაზე (იხ. დიაგრამა #44)-

დიაგრამა #44: პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული ასპექტების შეფასება (N=1140)



რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისადმი კურსდამთავრებულების დამოკიდებულებას, ის არაერთგვაროვანია. რესპონდენტთა უმრავლესობა (53.6 % ანუ 621 გამოკითხული) თვლის, რომ ჩარიცხვის წესი გაუმჯობესებას არ საჭიროებს, ხოლო დარჩენილი ნახევარის აზრი ორად იყოფა. ნაწილი მიიჩნევს, რომ მეტ-

ნაკლებად საჭირობს ცვლილებას (25.1% (290)), ხოლო მეორე ნაწილი ცვლილების აუცილებლობაზე საუბრობს (21.4% (247)).

პროფესიული განათლებისადმი დამოკიდებულების ასაკობრივი კატეგორიის ჭრილში ანალიზმა სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ აჩვენა, რაც სრულიად მოსალოდნელი იყო, რადგან კატეგორიები, რომლის მიხედვითაც შეფასდა საჭიროებები და დამოკიდებულებები ნაკლებ კავშირშია ასაკობრივ მახასიათებლებთან.

რაც შეეხება სქესის ჭრილში იმავე ანალიზს, გამოიკვეთა სტატისტიკურად სანდო განსხვავება ცვლადის „პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვის წესი“ მიხედვით.

კერძოდ, კაცები უფრო მეტად უთითებენ ჩარიცხვის წესის გაუმჯობესებს აუცილებელ საჭიროებაზე, ვიდრე ქალები (იხ.დანართი N10).

დარგის მიხედვით საჭიროებების ანალიზმა გამოკვეთა სტატისტიკურად სანდო განსხვავებები პროფესიული განათლების სხვადასხვა ასპექტის შეფასებისას. თუ ჩვენ პირობითად დავაწესებთ ქვედა და ზედა ზღვარს გამოხმაურების მაჩვენებლების მიხედვით და მივიჩნევთ, რომ თუ კონკრეტულ კითხვას რესპონდენტების 50%-ზე მეტი პასუხობს დადებითად - არის მაღალი მაჩვენებელი, ხოლო თუ 20%-ზე ნაკლები რესპონდენტი პასუხობს დადებითად - დაბალი მაჩვენებელი, მაშინ სურათი შემდეგი იქნება:

ა) სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება მკაფიოდ გამოკვეთეს (მაღალი მაჩვენებლით) შემდეგი დარგების კურსდამთავრებულებმა: ვეტერინარია, აუდიოვიზუალური ხელოვნება, გეოგრაფია, სამუსიკო ხელოვნება, ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები. ხოლო შედარებით ნაკლებად ხედავენ (მინიმალური მაჩვენებლით) პროგრამების გაუმჯობესების აუცილებლობას ისეთი დარგების კურსდამთავრებულები, როგორცაა მედიახელოვნება, აგრონომია, აგროინჟინერია, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, დეტალური სურათისთვის დარგების მიხედვით სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებების შესახებ (იხ. დანართი # 11).

ბ) სწავლის მეთოდების გაუმჯობესების საჭიროება მკაფიოდ გამოკვეთა დარგების დიდმა ნაწილმა (მაღალი მაჩვენებლით), როგორცაა მაგალითად, საექთნო საქმე (ექთანი/ბებია ქალი), ტრანსპორტი, საბუღალტრო აღრიცხვა, მენეჯმენტი, აგრონომია, გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება, ფარმაცია, ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია, კულტურული მემკვიდრეობა, სამდივნო და საოფისე საქმე, მეცხოველეობა, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია, ტურიზმი, აუდიოვიზუალური ხელოვნება, სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, სასურსათო ტექნოლოგია, ვეტერინარია, არქიტექტურა, გეოგრაფია, ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები. ხოლო რაც შეეხება ცვლილებების საჭიროების დაბალ მაჩვენებელს, ის მხოლოდ მედიახელოვნების დარგის კურსდამთავრებულებთან გვხვდება (იხ. დანართი #12).

გ) სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მაღალი საჭიროება გამოიკვეთა შემდეგი დარგების შემთხვევაში: ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია, ტრანსპორტი, ფინანსები,

არქიტექტურა, გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება, სამუსიკო ხელოვნება, სამთო და გეოინჟინერია, ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია. ხოლო დაბალი საჭიროება ისეთი დარგების, როგორცაა მასწავლებლის განათლება და სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია (დეტალური სურათისთვის იხ. დანართი #13).

დ) პროფესიული მასწავლებლის კომპეტენციის გაუმჯობესების მაღალი საჭიროება გამოიკვეთა შემდეგი დარგების შემთხვევაში: სასურსათო ტექნოლოგია, სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია, არქიტექტურა, სამთო და გეოინჟინერია, აუდიოვიზუალური ხელოვნება, გეოგრაფია, ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები. ხოლო დაბალი საჭიროება გამოიკვეთა ისეთი დარგებისთვის, როგორცაა მედიახელოვნება, საბუნებრივად აღრიცხვა, სატყეო საქმე, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია, აგრონომია (დეტალური სურათისთვის იხ. დანართი #14).

ე) პრატიკული კურსების გაუმჯობესების მაღალ საჭიროებაზე საუბრობს 35 დარგიდან თითქმის ყველა დარგი. მხოლოდ შემდეგ დარგებს არ აქვთ მაღალი მაჩვენებელი: მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, სამთო და გეოინჟინერია, მშენებლობა, აგრონომია, მარკეტინგი, საექთნო საქმე (ექთანი/ბებიის ქალი) და მხოლოდ ორი დარგის შემთხვევაში საუბრობენ კურსდამთავრებულები პრატიკული ნაწილის გაუმჯობესების ნაკლებ საჭიროებაზე (დეტალური სურათისთვის იხ. დანართი #15).

ვ) პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის წესის ცვლილების/გაუმჯობესების მაღალ საჭიროებაზე ისაუბრეს შემდეგი დარგების კურსდამთავრებულებმა: მშენებლობა, მენეჯმენტი, კულტურული მემკვიდრეობა, მასწავლებლის განათლება, ტურიზმი, გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება, სამთო და გეოინჟინერია, სასურსათო ტექნოლოგია, ვეტერინარია, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, გეოგრაფია, სამუსიკო ხელოვნება, ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები. ხოლო დაბალია ცვლილების საჭიროება ისეთი დარგებისთვის, როგორცაა მედიახელოვნება და აგრონომია (დეტალური სურათისთვის იხ. დანართი #16).

პროფესიული განათლების დანარჩენი ასპექტების შემთხვევაში სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ იყო.

ასევე გამოიკვეთა სტატისტიკურად სანდო განსხვავება პროფესიული განათლების შემდეგი ორი ასპექტის მიხედვით მიმართულებების ჭრილში:


ა) საკვანძო კომპეტენციების (კომუნიკაციის უნარები მშობლიურ და უცხო ენაზე, მეწარმეობრივი უნარები);

ბ) სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა (სახელმძღვანელოები, სასწავლო მასალები, ინტერნეტი).

როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს ცვლილებების მაღალი საჭიროება ორივე პარამეტრის მიხედვით იკვეთება შემდეგი მიმართულებების შემთხვევაში: აგრარული მეცნიერებები, მიმართულებათაშორისი დარგები. დანარჩენი მიმართულებების შემთხვევაში სიტუაცია ზემოთ მოცემული პარამეტრების მიხედვით ოდნავ განსხვავდება. კერძოდ, ბიზნეს


ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებების და ხელოვნების მიმართულებებში მეტი აქცენტი არის გაკეთებული საკვანძო კომპეტენციების გაუმჯობესებაზე, ვიდრე სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობაზე (დეტალური სურათისთვის იხ. დიაგრამა #45).

დიაგრამა #45: პროფესიული განათლების ასპექტების გაუმჯობესების საჭიროება მიმართულებების მიხედვით (N=1201)



კურსდამთავრებულებს ასევე სთხოვეს, შეეფასებინათ მთლიანობაში პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება ხელს უწყობს თუ არა სამუშაოს დაწყებას. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა (64.7% (777)) დადებითად უპასუხა ამ კითხვას, ნაწილმა (30.7% (369)) უპასუხა, რომ ნაწილობრივ ხელს უწყობს, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი (4.6% (55)) საუბრობს იმაზე, რომ პროფესიული განათლება დასაქმებას ხელს არ უწყობს (იხ. დიაგრამა #46).

დიაგრამა #46: თქვენი აზრით, მთლიანობაში, პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება ხელს უწყობს თუ არა სამუშაოს დაწყებას? (N=1201)



ასაკის, სქესის და მიმართულებების ჭრილში რესპონდენტების პასუხებს შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ დადასტურდა.

შეჯამება

2019 წლის კურსდამთავრებულები პროფესიული განათლების ძირითადი ასპექტების შეფასებისას საუბრობენ, რომ საჭიროა, განხორციელდეს გარკვეული ცვლილებები სასწავლო პროცესის ხარისხის, სწავლისა და შეფასების მეთოდების, რესურსების ხელმისაწვდომობის, პრაქტიკული მუშაობის გაუმჯობესებისა და გაძლიერების მიზნით. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად და აუცილებელ ფაქტორად მიაჩნიათ დასაქმების ხელშეწყობაზე ზრუნვა პროფესიული სასწავლებლის მხრიდან. ასევე გამოიკვეთა რამდენიმე დარგი, რომელთა კურსდამთავრებულთა დიდი უმეტესობა თითქმის ყველა პარამეტრის/ასპექტის მიხედვით პროფესიული პროგრამის გაუმჯობესების საჭიროებაზე საუბრობს. ეს დარგებია: ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები, არქიტექტურა, სამუსიკო ხელოვნება, ვეტერინარია, აუდიოვიზუალური ხელოვნება, გეოგრაფია, ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია.

კურსდამთავრებულები მიიჩნევენ, რომ პროფესიული განათლება ეხმარება მათ დასაქმებაში.

დასკვნები და რეკომენდაციები

ძირითადი დასკვნები:

- ❖ 2019 წლის კურსდამთავრებულების პროფესიული განათლების პროგრამებზე სწავლის ძირითადი მოტივაციური საფუძველი არის უფრო მეტად შინაგანი მოტივაცია და ხარისხიანი სწავლის სურვილი, ვიდრე გარეგანი განმამტკიცებლები, როგორცაა პროფესიულ სასწავლებელში ჩაბარებისა და სწავლის სიმარტივე, მისი ადგილმდებარეობა, პრესტიჟულობა, ან უფასო სწავლა, რაც იმეორებს 2017 და 2018 წლების დინამიკას;
- ❖ კურსდამთავრებულთა უმრავლესობას პროფესიულ პროგრამებზე სწავლის პერიოდში არ უფიქრია სწავლის შეწყვეტასა და პროგრამის მიტოვებაზე. ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაცილებით დაბალია და დინამიკაში შეიმჩნევა ამ მაჩვენებლის კლება;
- ❖ კურსდამთავრებულების აბსოლუტური უმრავლესობა რჩება პროფესიის ერთგული, მიუხედავად იმისა, დასაქმებულია თუ არა ის მოცემულ მომენტში სპეციალობით, რაც პროფესიასთან მათ იდენტიფიკაციაზე მიუთითებს. მათ არ აქვთ სურვილი და არც გეგმავენ, რომ შეიცვალონ პროფესია;
- ❖ პროფესიული სასწავლებლებისადმი კურსდამთავრებულებს ძირითადად დადებითი დამოკიდებულება აქვთ. მათი ნარატივის მიხედვით სწავლის პროცესში გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიური მოსწრებით, მოსწონდათ პროფესიული სასწავლებელი და პროგრამა, რომელზეც ირიცხებოდნენ. ეს ყველაფერი კი თავის მხრივ, პროფესიაში შესვლისა და სტაბილური იდენტობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა;
- ❖ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა თითქმის ნახევარი (49%) შრომით საქმიანობაშია ჩართული, საიდანაც დიდი ნაწილი არის დაქირავებით დასაქმებული, ხოლო მცირე ნაწილი კი- თვითდასაქმებული;
- ❖ 2019 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ჩამორჩება წინა წლის მაჩვენებელს, შეინიშნება კლება როგორც დაქირავებით დასაქმებულების, ასევე თვითდასაქმების, გაზრდილია უმუშევარი კურსდამთავრებულების რაოდენობა;
- ❖ დასაქმებასა და მის მაჩვენებელზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არსებულმა პანდემიურმა მდგომარეობამ, დასაქმების ინდექსის თანახმად, რომელშიც გათვალისწინებულია იმ ადამიანების რაოდენობაც, რომელთაც დაკარგეს სამსახური ან თავი შეიკავეს სამსახურის ძებნისგან პანდემიური სიტუაციის გამო, რომ არა პანდემიური მდგომარეობა, მაშინ დასაქმების მაჩვენებელი გააგრძელებდა წინა წლების დინამიკას (აღემატებოდა ან არ ჩამოუვარდებოდა წინა წლების მაჩვენებლებს);
- ❖ დასაქმების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეინიშნება 15-24 წლის კურსდამთავრებულებში, რაც ასევე იმეორებს წინა წლების კვლევების შედეგებს;
- ❖ მიუხედავად დასაქმების არსებული მაჩვენებლისა, დასაქმებულთა თითქმის ნახევრის საქმიანობა არ არის დაკავშირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებულ სპეციალობასთან;
- ❖ დასაქმების ხელშემშლელ ძირითად მიზეზად კურსდამთავრებულების მიერ დასახელებულია პანდემიური მდგომარეობა. ამ ფაქტორის მიღმა ისინი ასევე საუბრობენ ისეთ არახელსაყრელ გარემოებებზე, როგორცაა არასაკმარისი გამოცდილება, პროფესიაზე დაბალი მოთხოვნა, დაბალი ხელფასი და სხვა;

- ❖ დასაქმებულების უმრავლესობა კერძო დაწესებულებაში მუშაობს, მცირეა სახელმწიფო დაწესებულებების, როგორც კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების ხვედრითი წილი დასაქმებაში;
- ❖ კურსდამთავრებულებში დასაქმების მიზნით მობილობა ძალიან დაბალია: დასაქმებულ კურსდამთავრებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას სამუშაო პროცესში ჩაბმის მიზნით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არ დასჭირდა;
- ❖ დასაქმებული კურსდამთავრებულების უმრავლესობის სამუშაო დღე სტანდარტული 40 საათის ფარგლებში მერყეობს;
- ❖ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ გააჩნიათ კურსდამთავრებულების დასაქმების მხარდაჭერის სისტემა. კურსდამთავრებულები ძირითადად სამსახურის ძიების პროცესში ეყრდნობიან საკუთარ და ახლობლების გამოცდილებას. ასევე ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის არც სახელმწიფო და არც კერძო სისტემა;
- ❖ კურსდამთავრებულები დადებითად აფასებენ პროფესიული განათლების ფარგლებში მიღებულ კომპეტენციას, ასევე საუბრობენ ამ კომპეტენციის შესაბამისობაზე სამუშაო მოთხოვნებთან;
- ❖ დასაქმებული კურსდამთავრებულების სამუშაო კმაყოფილება მაღალია. კმაყოფილებას ძირითადად ქმნის სამუშაოს სტატუსი, ხელფასი და საქმის შინაარსობრივი მხარე. თუმცა უფრო მეტად წამყვანი არის სტატუსი და საქმე;
- ❖ კურსდამთავრებულები საუბრობენ ისეთი უნარების განვითარების საჭიროებებზე, როგორცაა უცხო ენის და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, ასევე ისეთი თვითრეგულაციური უნარები, როგორცაა საქმის ორგანიზებისა და კომუნიკაციური უნარები;
- ❖ კურსდამთავრებულთა მესამედი სპეციალობის მიმართულებით სწავლის გაგრძელებას აპირებს, მესამედი კი გადაწყვეტილების მიღების პროცესშია და ჯერ ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს;
- ❖ კურსდამთავრებულები პროფესიული განათლების შეფასებისას ხაზს უსვამენ გარკვეული ცვლილებების საჭიროებას: ცვლილებები სასწავლო პროცესის ხარისხის, სწავლისა და შეფასების მეთოდების, რესურსების ხელმისაწვდომობისა პრაქტიკული მუშაობის გაუმჯობესებისა და გაძლიერების მიზნით;
- ❖ კურსდამთავრებულები მიიჩნევენ, რომ პროფესიული განათლება ეხმარება მათ დასაქმებაში.

რეკომენდაციები:

- ✔ რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდეთ კურსდამთავრებულთა ტრანზიციის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის სისტემა. ამ სისტემის საშუალებით საგანმანათლებლო დაწესებულება იღებს შუამავალის როლს პოტენციურ დამსაქმებელსა და სტუდენტს შორის. დამსაქმებლების მაღალი ჩართულობა სასწავლო პროცესში, საერთო მოდულები და პროექტები, ინფორმირებულობის მაღალი დონე, ადამინისტრაციული პრობლემების პრევენცია და მათი გადაჭრის პროცესის მხარდაჭერა,

კომუნიკაციური ხიდის შექმნა შრომის ბაზართან, დასაქმების პერსპექტივების ანალიზი და ა.შ. აღნიშნული სისტემა საშუალებას მისცემს სტუდენტს მომზადებული გავიდეს შრომის ბაზარზე.

- ✓ რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდეთ პროგრამის დასრულების შემდგომი მონიტორინგისა და მხარდაჭერის (Follow up) სისტემა. რაც გულისხმობს ერთი მხრივ იმას, რომ სასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ კურსდამთავრებულების სრულყოფილი ბაზა და გარკვეული პერიოდულობით ხდებოდეს ამ ბაზის განახლება. ბაზაში აღრიცხული უნდა იყოს კურსდამთავრებულების პროფესიული განვითარების გზა და დინამიკა. ხორციელდებოდეს კვლევები დასაქმების სხვადასხვა ასპექტების შესწავლისა და პროფესიული პროგრამების განვითარების მიზნით. მეორე მხრივ რეკომენდებულია შენარჩუნებული იყოს აქტიური ტიპის კავშირი ყოფილ კურსდამთავრებულთან (საჯარო ლექციები, დასაქმების შესახებ კონსულტაციები, გამოცდილების გაზიარება და ა.შ.).
- ✓ პროფესიული პროგრამების განვითარების მიზნით რეკომენდებულია შიდა და გარე კვლევების ჩატარება, სადაც მაქსიმალურად იქნებიან ჩართული პროფესიული განათლების ყველა დონის (მაკრო-ნანო) სუბიექტები (სტუდენტი, მასწავლებელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პოტენციური დამსაქმებელი და ა.შ.).
- ✓ რეკომენდებულია პროფესიულ დაწესებულებებში მოქმედებდეს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებისა და მიმდინარე პროცესებზე უკუკავშირის სისტემა, განსაკუთრებით საყურადღებოა საჭიროებების კვლევები, რაც საშუალებას მისცემს სასწავლებელს მუდმივად პულსზე ედოს ხელი.
- ✓ რეკომენდებულია გარკვეული რეგულარულობით გადაიხედოს მოდულებისა და კურსების სილაბუსები. განსაკუთრებით პრატიკის ნაწილი, რადგან შრომის ბაზარზე განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება აისახება კომპეტენციებში. მუდმივად უნდა ხდებოდეს პროგრამებით მიღწეული კომპეტენციების შეფასება შრომის ბაზარზე საჭირო კომპეტენციებთან მიმართებაში.
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიების პოპულარიზაციას და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის საკითხს. ამისათვის რეგულარულად უნდა იმართებოდეს საკომუნიკაციო ტიპის აქტივობები: ღია კარის დღე, საინფორმაციო კამპანიები, დასაქმების ფესტივალები, სადაც პოტენციური დამსაქმებლები ისაუბრებენ მათთვის მნიშვნელოვან უნარებსა და ღირებულებებზე.

ბიბლიოგრაფია

Australian National Training Authority, 2001;

Al Rawahi, M., & Aouad, G. (2011). Vocational education and training and employability: the case of the Government Vocational Training Centres in the Sultanate of Oman. In *Salford Postgraduate Annual Research Conference* (p. 248).

Al Rawahi, M. A. S. (2011). An assessment of the current Vocational Training in the Government Vocational Training Centers in the Sultanate of Oman.


Kilpatrick, S., & Allen, K. (2001). *Factors influencing demand for vocational education and training courses: Review of research*. National Centre for Vocational Education Research.

Mulder, M., Weigel, T., & Collins, K. (2007). The concept of competence in the development of vocational education and training in selected EU member states: a critical analysis. *Journal of Vocational Education & Training*, 59(1), 67-88.

Mitchell, J., Chappell, C., Bateman, A., & Roy, S. (2006). *Quality Is the Key: Critical Issues in Teaching, Learning and Assessment in Vocational Education and Training*. National Centre for Vocational Education Research Ltd. PO Box 8288, Stational Arcade, Adelaide, SA 5000, Australia.

დანართები

დანართი #1. შერჩევის განაწილება კურსდამთავრებულთა საერთო განაწილებასთან მიმართებაში რეგიონების მიხედვით



დანართი#2. შერჩევის განაწილება მიმართულებების მიხედვით

საგანმანათლებლო მიმართულებები	კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა	შერჩეული კურსდამთავრებულების რაოდენობა
1 აგრარული მეცნიერებანი	969	241
3 ბიზნესის ადმინისტრირება	464	128
4 განათლება	130	35
5 ინჟინერია	1779	464
7 მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	402	113
8 სოციალური მეცნიერებები	15	10
9 ხელოვნება	493	144
10 ჯანდაცვა	244	66

სულ	4496	1201
-----	------	------

დანართი #3. შერჩევის განაწილება სქესის მიხედვით

	კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა	შერჩეული კურსდამთავრებულების რაოდენობა
კაცი	2546	649
ქალი	1950	552
სულ	4496	1201

დანართი #4. შერჩევის განაწილება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით

ასაკი	კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა	ასაკობრივი ჯგუფების წილი კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობიდან (%)	შერჩეული კურსდამთავრებულების რაოდენობა	ასაკობრივი ჯგუფების წილი შერჩეულ კურსდამთავრებულთა რაოდენობიდან (%)
15-24	2202	49.0	505	42.0
25-29	776	17.3	215	17.9
30-34	527	11.7	155	12.9
35-39	305	6.8	109	9.1
40-49	446	9.9	138	11.5
50+	240	5.3	79	6.6
სულ	4496	100.0	1201	100.0

დანართი #5. Covid-19-ის გავლენა დასაქმებაზე (რეგრესიული მოდელი)

მოდელში გამოყენებული ცვლადები

მოდელი	გამოყენებული ცვლადი	წაშლილი ცვლადი	მეთოდი
1	პანდემია_2 ^b	.	Enter

a. დამოკიდებული ცვლადი: დასაქმება_1

მოდელის არსი

მოდელი	R	R ²	Adjusted R ²	Std. Error of the Estimate
1	.107 ^a	.011	.011	.49784

a. პრედიქტორი: (Constant), პანდემია

b. დამოკიდებული ცვლადი: დასაქმება

ANOVA^a

Model		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	7.283	1	7.283	29.384	.000 ^b
	Residual	629.770	2541	.248		
	Total	637.053	2542			

a. დამოკიდებული ცვლადი: დასაქმება_1

b. პრედიქტორი (Constant), პანდემია_2

Coefficients^a

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	.387	.032		12.174	.000
	პანდემია_2	.107	.020	.107	5.421	.000

a. დამოკიდებული ცვლადი: დასაქმება_1

დანართი #6. სამუშაო დროის აღწერითი სტატისტიკა

სამუშაო დროის აღწერითი სტატისტიკა

როგორც წესი, რამდენი საათი მუშაობთ კვირის განმავლობაში? (გთხოვთ, დრო მიუთითეთ რიცხვებით)		
N	ვალიდური პასუხები	428
	გამოტოვებული	773
საშუალო		43.12
მედიანა		40.00
მოდა		40
სტანდარტული გადახრა		14.623
მინიმუმი		4
მაქსიმუმი		96

დანართი #8: დასაქმებისა და უმუშევრობის განაწილება რეგიონის მიხედვით

განხორციელების ადგილი, რეგიონი	დასაქმება		სულ
	დაუსაქმებელი	დასაქმებული	
აჭარა	149	126	275
	54.20%	45.80%	100.00%
გურია	23	9	32
	71.90%	28.10%	100.00%
თბილისი	174	173	347
	50.10%	49.90%	100.00%
იმერეთი	65	54	119
	54.60%	45.40%	100.00%
კახეთი	50	81	131
	38.20%	61.80%	100.00%
მცხეთა-მთიანეთი	21	17	38
	55.30%	44.70%	100.00%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	5	7
	28.60%	71.40%	100.00%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	49	48	97
	50.50%	49.50%	100.00%
სამცხე-ჯავახეთი	29	23	52
	55.80%	44.20%	100.00%
ქვემო ქართლი	18	21	39
	46.20%	53.80%	100.00%
შიდა ქართლი	30	34	64
	46.90%	53.10%	100.00%

დანართი #9. დასაქმებისა და უმუშევრობის განაწილება რეგიონებისა და მიმართულებების მიხედვით

*გარკვეულ შემთხვევებში მონაცემთა სიმცირის გამო დასაქმების მაჩვენებელი რეგიონისა და მიმართულების მიხედვით არ არის სტატისტიკურად სანდო მონაცემი

განხორციელების ადგილი რეგიონი	დასაქმება		სულ
	დაუსაქმებელი	დასაქმებული	
აჭარა მიმართულება აგრარული მეცნიერებანი	19	17	36
	52.8%	47.2%	100.0%
ბიზნესის ადმინისტრირება	31	13	44
	70.5%	29.5%	100.0%


	განათლება		4	5	9
			44.4%	55.6%	100.0%
	ინჟინერია		60	51	111
			54.1%	45.9%	100.0%
	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები		16	18	34
			47.1%	52.9%	100.0%
	სოციალური მეცნიერებები		2	5	7
			28.6%	71.4%	100.0%
	ხელოვნება		11	9	20
			55.0%	45.0%	100.0%
	ჯანდაცვა		7	7	14
			50.0%	50.0%	100.0%
	სულ		150	125	275
			54.5%	45.5%	100.0%
გურია	მიმართულება	ბიზნესის ადმინისტრირება	6	2	8
			75.0%	25.0%	100.0%
	ინჟინერია		4	2	6
			66.7%	33.3%	100.0%
	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები		2	0	2
			100.0%	0.0%	100.0%
	ხელოვნება		10	5	15
			66.7%	33.3%	100.0%
	სულ		22	9	31
			71.0%	29.0%	100.0%
თბილისი	მიმართულება	აგრარული მეცნიერებანი	52	40	92
			56.5%	43.5%	100.0%
		ბიზნესის ადმინისტრირება	15	8	23
			65.2%	34.8%	100.0%
	განათლება		5	2	7
			71.4%	28.6%	100.0%
	ინჟინერია		57	78	135
			42.2%	57.8%	100.0%
	მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები		29	23	52
			55.8%	44.2%	100.0%
	სოციალური მეცნიერებები		0	0	0
	ხელოვნება		10	17	27
			37.0%	63.0%	100.0%
	ჯანდაცვა		6	3	9
			66.7%	33.3%	100.0%
	სულ		174	171	345

			50.4%	49.6%	100.0%
იმერეთი	მიმართულება	აგრარული მეცნიერებანი	7	7	14
			50.0%	50.0%	100.0%
		ბიზნესის ადმინისტრირება	10	4	14
			71.4%	28.6%	100.0%
		განათლება	0	2	2
			0.0%	100.0%	100.0%
		ინჟინერია	27	33	60
			45.0%	55.0%	100.0%
		მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	8	1	9
			88.9%	11.1%	100.0%
		ხელოვნება	13	7	20
			65.0%	35.0%	100.0%
	სულ		65	54	119
			54.6%	45.4%	100.0%
კახეთი	მიმართულება	აგრარული მეცნიერებანი	20	33	53
			37.7%	62.3%	100.0%
		ბიზნესის ადმინისტრირება	1	4	5
			20.0%	80.0%	100.0%
		განათლება	0	3	3
			0.0%	100.0%	100.0%
		ინჟინერია	13	21	34
			38.2%	61.8%	100.0%
		მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	0	4	4
			0.0%	100.0%	100.0%
		ხელოვნება	10	10	20
			50.0%	50.0%	100.0%
		ჯანდაცვა	6	6	12
			50.0%	50.0%	100.0%
	სულ		50	81	131
			38.2%	61.8%	100.0%
მცხეთა- მთიანეთი	მიმართულება	აგრარული მეცნიერებანი	7	10	17
			41.2%	58.8%	100.0%
		ინჟინერია	7	4	11
			63.6%	36.4%	100.0%
		მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	2	1	3
	66.7%	33.3%	100.0%		
		ხელოვნება	5	2	7
			71.4%	28.6%	100.0%
	სულ		21	17	38
			55.3%	44.7%	100.0%
	მიმართულება	აგრარული მეცნიერებანი	1	1	2


რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	ინჟინერია		50.0%	50.0%	100.0%
			1	4	5
			20.0%	80.0%	100.0%
სულ		2	5	7	
		28.6%	71.4%	100.0%	
სამეგრელო- ზემო სვანეთი	მიმართულება აგრარული მეცნიერებანი		2	6	8
			25.0%	75.0%	100.0%
	ბიზნესის ადმინისტრირება		5	3	8
			62.5%	37.5%	100.0%
	განათლება		3	6	9
			33.3%	66.7%	100.0%
	ინჟინერია		23	17	40
			57.5%	42.5%	100.0%
მიმართულება თამორისი დარგები ან სპეციალობები		1	1	2	
		50.0%	50.0%	100.0%	
ხელოვნება		9	5	14	
		64.3%	35.7%	100.0%	
ჯანდაცვა		6	10	16	
		37.5%	62.5%	100.0%	
სულ		49	48	97	
		50.5%	49.5%	100.0%	
სამცხე- ჯავახეთი	მიმართულება აგრარული მეცნიერებანი		9	6	15
			60.0%	40.0%	100.0%
	ბიზნესის ადმინისტრირება		2	0	2
			100.0%	0.0%	100.0%
	ინჟინერია		8	16	24
			33.3%	66.7%	100.0%
მიმართულება თამორისი დარგები ან სპეციალობები		4	1	5	
		80.0%	20.0%	100.0%	
ხელოვნება		6	1	7	
		85.7%	14.3%	100.0%	
სულ		29	24	53	
		54.7%	45.3%	100.0%	
ქვემო ქართლი	მიმართულება ბიზნესის ადმინისტრირება		4	3	7
			57.1%	42.9%	100.0%
	ინჟინერია		10	9	19
			52.6%	47.4%	100.0%
	ხელოვნება		0	5	5
		0.0%	100.0%	100.0%	
ჯანდაცვა		3	4	7	
		42.9%	57.1%	100.0%	
სულ		17	21	38	

			44.7%	55.3%	100.0%
შიდა ქართლი	მიმართულება	აგრარული მეცნიერებანი	1	4	5
			20.0%	80.0%	100.0%
		ბიზნესის ადმინისტრირება	8	7	15
			53.3%	46.7%	100.0%
		განათლება	2	5	7
			28.6%	71.4%	100.0%
		ინჟინერია	9	9	18
			50.0%	50.0%	100.0%
		სოციალური მეცნიერებები	1	2	3
			33.3%	66.7%	100.0%
		ხელოვნება	5	3	8
			62.5%	37.5%	100.0%
		ჯანდაცვა	3	4	7
			42.9%	57.1%	100.0%
	სულ		29	34	63
			46.0%	54.0%	100.0%
სულ	მიმართულება	აგრარული მეცნიერებანი	118	124	242
			48.8%	51.2%	100.0%
		ბიზნესის ადმინისტრირება	82	44	126
			65.1%	34.9%	100.0%
		განათლება	14	23	37
			37.8%	62.2%	100.0%
		ინჟინერია	219	244	463
			47.3%	52.7%	100.0%
		მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	62	49	111
			55.9%	44.1%	100.0%
		სოციალური მეცნიერებები	3	7	10
			30.0%	70.0%	100.0%
		ხელოვნება	79	64	143
			55.2%	44.8%	100.0%
		ჯანდაცვა	31	34	65
			47.7%	52.3%	100.0%
	სულ		608	589	1197
			50.8%	49.2%	100.0%


დანართი #10. პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვის წესი




დანართი #11. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება დარგების მიხედვით




დანართი #12. სწავლის მეთოდების გაუმჯობესების საჭიროება დარგების მიხედვით




დანართი #13. სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება დარგების მიხედვით




დანართი #14. პროფესიული მასწავლებლის კომპეტენციის გაუმჯობესება დარგების მიხედვით



დანართი #15: პრაქტიკული კურსების გაუმჯობესების საჭიროება დარგების მიხედვით



დანართი #16. პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის წესის გაუმჯობესება დარგების მიხედვით



დანართი #17. სწავლის შეფასების მეთოდების გაუმჯობესება დარგების მიხედვით

